პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 იანვარი კვირა 1972

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 13 (15226)

ხუთწლედი — ვადამდე!

○ რაციონალიზატორები ხუთწლედის სამსახურში.

○ 2.000 ცალი გაზქურა გეგმის გადამეტებით.

○ იმარაგებენ კონდიციურ თესლს — უხვი მოსავლის საფუძველს.

მათ თავი ისახელეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადამდე შევასრულოთ მიმდინარე წლისა და ხუთწლედის დავალებები, ამ დევიზით შრომობენ თბილისის საქსოვ-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელის“ ახალგაზრდები. მათ ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში განაღდებისათვის; ახალგაზრდა მკერავების წელს გადაწყვეტილი აქვთ ერთიორად გაზარდონ იმ მუშათა რიცხვი, რომლებიც საპატიო ვალდებულებას საქმედ აქცევენ.

სულ ერთი წელია, რაც ფაბრიკაში მოვიდა ქუჩუნა ბითარიშვილი, მკერავის პროფესიას მალე დაეუფლა და ახლა საწარმოს ერთ-ერთი მოწინავე მუშაა. ახალგაზრდა კომუნისტი ყოველდღიურ დავალებებს 120-125 პროცენტით ასრულებს.

■ ■ ■

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: თბილისის საქსოვ-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელის“ მოწინავე მკერავი კომუნისტი ქუჩუნა ბითარიშვილი.

ფოტო შ. მორბუნოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ნაცადი მეთოდი

დიდი შთანაფიქრებითა და საქმეებით აღსავსე დინამიკური ცხოვრებით ცხოვრობენ პარტიული ორგანიზაციები XXIV კონგრესის შემდეგ. ისინი კომუნისტების, ყველა მშრომელის ყურადღებას, ნებისყოფასა და ღონისძიებებს მიაპყრობენ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის ძირეულ, გადამწყვეტ მიმართულებებს, და ყოველნაირად ცდილობენ განამტკიცონ და სრულყონ მუშაობის ისეთი სტილი, ისეთი მორალურ-პოლიტიკური ვითარება კოლექტივებში, რომლებიც საშუალებას იძლევიან უფრო სრულად გამოავლინოთ კადრების შესაძლებლობანი და უნარი, განვავითაროთ შეჯიბრების მონაწილეთა შემოქმედებითი აქტივობა.

ამ ვითარებისათვის, როგორც პარტიის ყრილობაზე აღინიშნა, დამახასიათებელია საქმიანობა, ურთიერთგაგება, ადამიანებისადმი პატივისცემა და მზრუნველობა. მთელი ძალით ხაზგასმულია აგრეთვე სხვა რამ: ნამდვილი ამხანაგობის სულისკვეთების მიღწევა შეიძლება არა იმ გზით, რომ რამდენადმე შეუვაცეროთ პოლიტიკური, საქმიანი და ზნეობრივი მოთხოვნები კადრებისადმი, მას საერთოო არა აქვს რა ნაკლოვანებებისადმი უპრინციპო შემრიგებლობასთან. პირიქით, უფრო რთული ხდება ამოცანები, ამიტომ მით უფრო მტკიცე უნდა იყოს სოციალისტური ორგანიზებულობა და დისციპლინა, რეზერვების ეფექტიანი ძიება, თვალის ხიმახვილე, უფრო მწვავე უნდა იყოს ყოველივე იმისადმი შეურიგებლობა, რაც აფერხებს წინსვლას.

ამით განისაზღვრება აგრეთვე დიდი მნიშვნელობა პრინციპული კრიტიკის და თვითკრიტიკისა კომუნისტთა წრეში, რომლებიც მოწოდებული არიან მისცენ პოლიტიკური შეგნებულობისა და სახელმწიფოს, ხალხის ინტერესებისათვის მტკიცე, განუხრელი ზრუნვის, ნამდვილი კომუნისტური პარტიული ურთიერთობის მაგალითი. ჩვენთვის კრიტიკა კონიუნქტურული, საგანგებო მოვლენა როდია. პარტიას მიაჩნია, რომ იგი ნაცადი, მუდმივმოქმედი მეთოდია ნაკლოვანებებთა გამოსწორებისა და საქმის გაუჯობესებისათვის, კადრების სწორად აღზრდისათვის, რაც აუცილებელი პირობა და ხტიმულია შემოქმედებითი მუშაობისათვის, საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობითი აქტივობის განვითარებისათვის. ეს კვლავ მკაფიოდ გვიჩვენებს პარტიული აქტივის კრებებმა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში, სადაც საქმიანად განიხილავდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგებს, მიმდინარეობდა საგნობრივი, პრინციპული სკკპ-ბაახი პარტიული ორგანიზაციების აქტუალური ამოცანების შესახებ, დაკისრებული საქმისათვის მუშაკების მაღალი პასუხისმგებლობის შესახებ.

კრიტიკის დონე განისაზღვრება არა მკვახე გამოთქმებით, ვნებათა ღელვის გაძაფხულებით დავაში, არამედ მეურნეობრივობის, მართვისა და აღზრდის იმ ბეშმრიტად მწვავე საკითხების პრაქტიკულად დაყენებით, რომლებიც აღელვებენ კოლექტივებს. მისი ძალაა პარტიული პირდაპირობა და კომპეტენტურობა, კონსტრუქციული მუხტი, დადებითი შედეგები, რომლებსაც მისი დახმარებით აღწევენ. იქ, სადაც კრიტიკა წარმოებს პრინციპულ, იდეურ და საქმიან საფუძველზე, რომლისთვისაც უცხოა წვრილმანი ანგარიშისობა და ზენა, — იქ იგი ნამდვილად ემსახურება პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, პარტიული კონტროლის გაძლიერებას, შრომითი კოლექტივების შეკავშირების საშუალებას წარმოადგენს.

მაგრამ ზოგჯერ ვხვდებით მუშაკებს, რომლებმაც ისწავლეს ხოალარი გულისხმიერების გამოჩენა კრიტიკის „ტონალობისადმი“, „დოზირებისადმი“, „მართებულობისა“ და „ფორმისადმი“, მაგრამ, ჩანს, არ შესწევთ უნარი არსებითად აღიქვან იგი. არის კრიტიკის პირდაპირი ჩახშობის შემთხვევებიც. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ასეთი შემთხვევა იყო, მაგალითად, მოგილოვის ოლქის ბობრუისკის რაიონში. აქ სდევნიდნენ მთელ რიგ კომუნისტებს, რომლებმაც ზემდგომ პარტიულ ორგანოებს აცნობეს, რომ რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ბ. რუანოვი არღვევდა პარტიული ცხოვრების ნორმებსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების მოთხოვნებს. ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად დასაჯა რაიკომის ხელმძღვანელი მუშაკები შემრიგებლობისათვის, ამ ფაქტების შეფასებაში ჯეროვანი სიმწვავისა და პრინციპულობის უქონლობისათვის, კომუნისტთა სამართლიანი კრიტიკული ხიგნალების გამოძიებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის. აღინიშნა აგრეთვე პარტიის მოგილიოვის საოლქო კომიტეტის მუშაკთა არასწორი პოზიცია ამ საქმეში, რომელთა მიზეზით დროზე ვერ აღიკვეთა კრიტიკის ჩახშობა.

პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის პრინციპების გაუხრწნელად დაცვა საიმედო გარანტიაა ცალკეული მუშაკების შეცდომების, გაყოყოჩებისა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მათი იმ მისწრაფების წინააღმდეგ, რომ კრიტიკის გარეშე დააყენონ თავიანთი თავი. არ შეიძლება მომთხოვნელობის შეფარდება, ვარირება იმისდა მიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ მუშაკის დამსახურება, თანამდებობა და პირადი ხასიათი; დისციპლინა ჩვენში თანაბრად სავალდებულოა ყველასათვის. „...ჩემი აზრით, უნდა ვაკრიტიკოთ არა მარტო ისინი, ვინც შეცდომებს უშვებს, — ხაზი გაუსვა ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობისადმი, — არამედ აგრეთვე ისინიც, ვინც არ იყენებს ყველა შესაძლებლობას წარმოების განვითარებისათვის, არ იჩენს ინიციატივას, პასიურად ცხოვრობს“.

ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ნორმად გადაიქცა კარგი წესი: რეგულარულად აცნობონ კომუნისტებს მათ მიერ გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების რეალიზაცია, წინათ მიღებულ კოლექტიურ გადაწყვეტილებათა შესრულება. გამოავლინა, მაგალითად, ამხანაგმა წარსულ კრებაზე შეცდომები და ნაკლოვანებანი — მის პოზიციას ღირსეულად შეაფასებენ, მხარს დაუჭერენ პარტიული ორგანიზაციის მთელი ავტორიტეტით. და ყველა ხედავს, თუ რა კეთდება კონკრეტულად შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, საქმის გასაუმჯობესებლად. თუ ვინმემ შეცდომის, უცოდინარობის გამო, ან შეიძლება სიფიცხის გამო ნაჩქარევად გამოთქვა საყვედური და გამოიტანა დასკვნები, — მას მშვიდად, საბუთიანად განუმარტავენ, რაში ცდება, განუმარტავენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას. გამოირკვევა, რომ ბრალდებებს დემაგოგიური ხასიათი აქვს, — ასეთი რამ ჯერ კიდევ გვხვდება, — მტკიცე საკადრის პასუხს გასცემენ, საშუალებას არ მისცემენ, რომ ჩირქს სცხებდეს ადამიანის პატიოსან სახელს, პატიოსან მუშაობას. ასეთი პრინციპული მიდგომის დროს კომუნისტები თანაგრძნობით როდი მოეკიდებიან უმსამართო, ანონიმური კრიტიკის მოყვარულთ და იმათ, ვისი კრიტიკული აქტივობა გარეგანი ეფექტისათვის არის გათვალისწინებული.

მეტ წილ პარტიულ ორგანიზაციებში სწორი დასკვნები გამოიტანეს სკკპ XXIV ყრილობის მითითებებიდან კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარების შესახებ. კმაყოფილებით აღნიშნავენ რა ხუთწლედის პირველ წელს მოპოვებულ წარმატებებს, კომუნისტები მთელ ყურადღებას უთმობენ გადაუჭრელ პრობლემებს, „ვიწრო“ ადგილებს, წარმოების ჩამორჩენილ უბნებს, წარმოების ეფექტიანობის გადიდებას.

პარტიის მიერ დასახული ამოცანების უდიდესი მასშტაბი, ისტორიული სიახლე და სირთულე მოითხოვენ კიდევ უფრო თანმიმდევრულად ვაუმჯობესოთ მასებში ორგანიზატორული, პოლიტიკური და ადმინისტრაციული მუშაობის ფორმები და მეთოდები, კიდევ უფრო გადაჭრით უარვყოთ მოძველებული ჩვევები და წარმოდგენები. წარმატებით ვახორციელოთ პარტიის მიერ დასახული ამოცანები, ვიაროთ უეჭველად წინ, მივაღწიოთ აუცილებლად უფრო მეტს, — ამ საქმეში ჩვენ გვეხმარება კომუნისტების დამახასიათებელი რეგოლუციურ-კრიტიკული, ნოვატორული დამოკიდებულება სინამდვილისადმი. იგი თვითეული პარტიული ორგანიზაციის ძალის, ნამდვილი მებრძოლურობის მაჩვენებელია.

ПРАВДА

11 იანვრის მოწინავე.

ყოველი დღე — დამკვრელური შრომით

ეხმაურებიან მოსკოველთა თაოსნობას

თბილისის გაზის აპარატურის ქარხანა

ᲐᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ წლის წინათ ქარხანა „გაზაპარატი“ მოსახლეობას წელიწადში მხოლოდ 8.000 ცალ გაზქურას აწვდიდა, 1971 წელს კი ქარხნის კოლექტივმა მომზმარებელს 90 ათასი ცალი გაზის აპარატურა გაუგზავნა. პროდუქციის გამომშვების ასეთი პროგრესი მიღწეულია ქარხნის საწარმოო ბაზის კარგი ტექნიკური შეიარაღებით, ტექნოლოგიის სრულყოფით, შრომის მეცნიერული ორგანიზაციით.

მეაპარატეებმა ერთსულოვნად მოიწონეს მოსკოველთა თაოსნობა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ მიმდინარე წლისა და ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ნაკისრია გაზრდილი ვალდებულებანი. მეაპარატეებმა გადაწყვიტეს: პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა შეასრულონ 21 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 2.000 ცალი გაზქურა; შრომის ნაყოფიერების გადიდებით, შიდა რეზერვების სრულად გამოყენებით მიიღონ 20 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება; ტექნიკური პროგრესით და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით დაზოგონ 160 ათასი მანეთი; 1971 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 2 პროცენტით, სახალხო მოხმარების საგნების გამოშვება გაადიდონ 15 პროცენტით.

მუშათა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად წელს საექსპლოატაციოდ გადასცენ 112-ბინიანი საცხოვრებელი სახლი და დაიწყონ 96-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

მეაპარატეთა ვალდებულებანი ითვალისწინებენ აგრეთვე კომუნისტური შრომის მოძრაობის შემდგომ გაფართოებას, წარმოების კულტურის ამაღლებას, საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას.

რუსთავის ქიმიურ კომბინატში

ᲮᲐᲜᲑᲠᲚᲘᲗᲘ ჩამორჩენის შემდეგ რიტმულად ამუშავდა რუსთავის ქიმიური კომბინატის კოლექტივი. აქ ახალი წელი აღმავლობით დაიწყეს. კაპროლაქტამის წარმოების იანვრის 10 დღის დავალება შესრულებულია 116.1 პროცენტით, ხოლო ამიაკის წარმოებისა — 105,4 პროცენტით.

ჩამორჩენის საბოლოოდ დაძლევის ღონისძიებებზე იმსჯელეს ამ დღეებში ქართველმა ქიმიკოსებმა თავიანთ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე. კოლექტივმა მიმდინარე სამეურნეო წლისა და ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის იკისრა კონკრეტული ვალდებულებები: პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლედის გეგმა შეასრულონ 1975 წლის 23 დეკემბრისათვის; წარმოების ინტენსიფიკაციით 1972 წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვას ასორმოცი ტონა ამიაკი, 400 ტონა კაპროლაქტამი, 3.500 ტონა მინერალური სასუქები; დაზოგოს 25 ტონა ფენილი, 400 ტონა სამქლორეთილენი, 1 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 1 მილიონი კუბური მეტრი ტექნიკური წყალი.

წელს დამთავროს ამონიუმის სულფატის ხაოამრის „დუალრე ფენის“ აგრეგატის, კაპროლაქტამის გამშვენდისა და სხვა ობიექტების მშენებლობა, ყოველივე დემონტაჟებული წყლის საამქროს რეკონსტრუქცია.

1973-1975 წლებში საექსპლოატაციოდ გადასცეს ბუნებრივი აირის გოგირდოვანი შენაერთებისაგან გამწმენდი დანადგარი, ორ კორპუსში ჩაატარეს ჰაერგამყოფი. ბლოკების აგრეგატთა რეკონსტრუქცია.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲜᲐᲨᲘ

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠ ქარხანაში გადაწყვიტეს მოსკოველთა თაოსნობის საპასუხოდ გააღონ სოციალისტური შეჯიბრება და იკისრეს გადიდებული ვალდებულებები 1972 წლისა და მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

ვალდებულებათა წიგნში ჩაწერილია: სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა შეასრულონ 1972 წლის 20 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 70 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია; ვადაზე ერთი თვით ადრე, დეკემბრისათვის შეასრულონ პროდუქციის საექსპორტოდ გაგზავნის გეგმა, რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვით დაზოგონ 26 ათასი მანეთი, 20 ტონა შავი ლითონი.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ განმავლობაში გეგმის ზევით გამოუშვან 500 ათასი ჩანთის პროდუქცია; შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი დავალება შეასრულონ 1975 წლის 1 იანვისისათვის, პროდუქციის მატების 85 პროცენტი მიიღონ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

ᲐᲘ ᲠᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲡ

გაზაფხული გვიხმობს

დავაჩქაროთ ტექნიკის რემონტი, დროზე მოვიმარაგოთ თესლი

თესლი კასპორტს იღებს

ᲥᲐᲒᲐ. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ზამთრის ამ დღეებში ქაშის რაიონის სოფლების სუჯუნის, ზანათის საბჭოთა მეურნეობებში, ნორიოს, სამეკოის, კეთილარის, პირველი მაისის, სეფიეთის, მარანისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სიმინდის, სოიისა და სხვა საგაზაფხულო კულტურების თესლის მომარაგება.

წელს ქაშაშიმა მხვნელ-მთესველებმა იკისრეს სიმინდის დასათესად მოიმარაგონ 2.779 ცენტნერი კონდიციური სიმინდი, ხოლო სოიისათვის — 253 ცენტნერი სოია. პირობის შესასრულებლად ზამთრის ეს დღეები კარგად გამოიყენეს და დავალება უკვე დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს. სიმინდის კონდიციური თესლი აქვთ 4.445 ცენტნერი, რაც გეგმის 159,9 პროცენტს შეადგენს. სოიის თესლის მომზადების გეგმა შესრულდა ერთბისამად.

მინდგრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის კარგად ემზადებიან მექანიზატორები. ყველგან სახელოსნოებში სწრაფი ტემპით რემონტს უკეთებენ ტრაქტორებს, გუთნებს, სათეს მანქანებს, კულტივატორებს.

Ш. ᲯᲝᲯᲣᲐ.

მაჟურნალობენ მანქანებს

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. მხვნელ-მთესველებმა, შემოდგომაზე თავთავიანი კულტურების თესვის დამთავრების შემდეგ, მოელი ძალები დასაქმეს საგაზაფხულო კულტურების თესვისათვის მზადებაზე.

მექანიზატორებმა დროზე დამთავრეს მზრალად ხვნა, მოხნულ ნაკვეთებში 40 ათას ტონამდე ორგანული სასუქი შეიტანეს და გაამაღლეს მუშაობის ტემპი ტრაქტორებისა და სხვა მანქანების რემონტის დროულად დამთავრებისათვის.

კოლმეურნეობებს სულ 481 ტრაქტორი აქვთ. აქედან 377 სამუშაო მდგომარეობაში იყო. გასული წლის მეოთხე კვარტალში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 84-სა შეაკეთეს 101 ტრაქტორი, გუთანი 81-ის ნაცვლად 129, სათესი მანქანა — 43-ის ნაცვლად 68, კულტივატორი ნაცვლად 39-ისა — 61. მიმდინარეობდა აგრეთვე სატვირთო ავტომანქანების შეკეთება. საერთოდ რაიონის თერმეტ კოლმეურნეობას სულ 535 სატვირთო ავტომანქანა აქვს. აქედან 417 მუშაობს. 97-ის ნაცვლად შეაკეთეს 139 ავტომანქანა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მოსავლის ასაღები მანქანების რემონტის დავალება.

რემონტის საქმეში კოლმეურნეობები ერთმანეთს ეჯიბრებიან. ხოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანმა კოლმეურნეობამ, რომელმაც წერილით მიმართა რესპუბლიკის კოლმეურნეობებს: გაეშალათ შეჯიბრება ხუთწლედის მეორე წლის მოსავლიანობის გადიდებისათვის, ნაცვლად 18-ისა შეაკეთა 21 ტრაქტორი, ხოლო 22-ის ნაცვლად—31 გუთანი, გეგმის ზევით გაუკეთა რემონტი აგრეთვე სათესებს, კულტივატორებსა და სხვა იარაღ-მანქანებს.

ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტის მეოთხე კვარტალის დავალებები გადაჭარბებით გაანაღდეს ხოფლების ჯაფარიძის, ზემო ქედის, ქვემო ქედის, წითელწყაროს ლენინის სახელობისა და თიანეთის ყველა სხვა კოლმეურნეობამ.

„საქსოფლტექნიკის“ და ხაკოლმეურნეო სახელოსნოებში ყველაფერი კეთდება იმ ანგარიშით, რომ საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას მომზადებული შეხვდნენ.

Გ. ᲙᲐᲙᲐᲚᲐᲫᲕᲘᲚᲘ.

სიუხვის შესაქმნელად

ᲐᲮᲐᲚᲘ წლის პირველი დღეებიდანვე ასობით კოლმეურნე ყოველდღე გამოდის მინდვრად და ჩაის ბოანტაციებზე მუკრივთამორის ამშავებს ნიადაგს. მექანიზატორებს შეერია სამუშაო გაუჩნდათ. ჯანსაღი ტექნიკა უნდა დაახვედრონ საგაზაფხულო სამუშაოებს. სარემონტო სახელოსნოში ტრაქტორებს, გუთნებს, სათეს მანქანებს აკანსაღებენ.

ჩვენს კოლმეურნეობაში ჩაისთან ერთად წამყვანია სიმინდი. შარშან მიუხედავად ცუდი ამინდისა, სიმინდის უხვი მოსავალი მივიღეთ. კოლმეურნე გ. კვარაცხელიამ მთელ რაიონში გაითქვა სახელი, ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 90 ცენტნერი სიმინდის მარცვალი ნაცვლად 22 ცენტნერისა. ასეთი მოწინავეები ჩვენთან ერთი და ორი როდია. წელს გადაწყვეტილი გვაქვს კოლმეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ მივიღოთ 70 ცენტნერი სიმინდი.

შარშანდელი წელი კოლმეურნეობისათვის ხვავიანი იყო. გადაჭარბებით შეასრულეთ სახელმწიფოსათვის ჩაის, მარცვლეულისა და მცენაველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებები. წელს უფრო მეტი წარმატებები, მეტი ხვავი და ბარაქა — ასეთია კოლმეურნეთა გადაწყვეტილება.

Ჯ. ᲣᲐᲚᲘᲩᲐᲕᲐ,

ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣᲡ რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ რაიონის სოფელ კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორები გაზაფხულისათვის ამზადებენ სხვადასხვა მარკის 16 ტრაქტორს, სათეს მანქანებს, კულტივატორებს და სხვა საკოლმეურნეო ტექნიკას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ — გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ნარიაშვილი მექანიზატორ ა. სოლოგაშვილს მიერ შეკეთებულ ტრაქტორს ამოწმებს. მარჯვნივ — კოლმეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტი ბ. ბაცანაძე.

ფოტო ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ. (საქდესის ფოტოქრონიკა).

კენძო კონო საქართველოში

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ პარლამენტის მრჩეველთა პალატის თავმჯდომარე კენძო კონო 15 იანვარს განაგრძობდა საქართველოს გაცნობას. დილით მან იმოგზაურა თბილისში. ქალაქის მთავარი არქიტექტორის მოადგილემ თ. თეზაძემ ვაჩვენა მას რესპუბლიკის დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმა, ახალი შენებლობანი.

შემდეგ იაპონელი სტუმარი ეწვია მცხეთას. ეს იყო თავისებური მოგზაურობა აწმყოდან წარსულში, — შენიშნა მან. — კენძო კონოს უთხრეს, რომ რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა ქალაქ-მუზეუმად გამოაცხადა. მან ინტერესით დათვალიერა სვეტიცხოველის მონუმენტური შენობა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ კენძო კონო და მისი თანმხლები პირნი ორ საათს ეწინობოდნენ სასწავლო და კვლევითს მუშაობას საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. სასწავლებლის რექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა ი. ბუაჩიძემ უამბო სტუმრებს, რომ ინსტიტუტის სტაციონარულ, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე სწავლობს 27 ათასი სტუდენტი. უმაღლესი სასწავლებელი 58 სპეციალობის კადრებს უმზადებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს. ინსტიტუტის ფილიალები შექმნილია რესპუბლიკის ყველა სამრეწველო ცენტრში.

კენძო კონომ თავის კოლეგებთან ერთად დათვალიერა ინსტიტუტის ლაბორატორიები. უმაღლესი სასწავლებლის მუზეუმში მას მოქმედებს დრის უნჯენეს საგამოცდო მანქანა „ასპარეზი“ -სპი-3.

— საქართველოში ყოფნის დღეებში, — თქვა იაპონიის პარლამენტის მრჩეველთა პალატის თავმჯდომარემ. — ბევრი მკაფიო შთაბეჭდილება მივიღე. კერძოდ, მოიცვალა დიდი მუშაობა, რომელიც თქვენს რესპუბლიკაში ხორციელდება უმაღლესი განათლების დარგში. თვითეულმა ჩვენგანმა იცის: ქვეყანა, რომელიც ასოდენ დიდ ყურადღებას უთმობს სწავლა-განათლებას, აყვავებულია. თქვენ პროგრესი გაქვთ ცხოვრების ყველა დარგში. დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მოიპოვებთ.

იაპონელმა სტუმარმა დათვალიერა საქართველოს სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის სახელოსნო.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სასხელით კენძო კონოს პატივსაცემად გაიმართა სადილი. სადილზე კენძო კონომ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ი. აბაშიძემ სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

საღამოს კენძო კონო და მისი თანამგზავრები ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში დაესწრნენ „ბებისლომ და ეთერს“.

კვირას კენძო კონო სოჩს მიემგზავრება. (საქდესი).

პ. სადათის გამოსვლა

ᲙᲘᲠᲝᲕ. 15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა კაირის რადიოთი და ტელევიზიით წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც დასახასიათა ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა.

მან მკაცრად გააკრიტიკა ისრაელის მმართველი წრეები, რომლებიც კვლავ აბუზად იგდებენ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებს, როგა უარს ამბობენ გაიყვანონ თავიანთი ჯარები ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან.

პრეზიდენტმა სადათმა დაგმო პროისრაელური პოზიცია შეერთებული შტატების, რომელმაც 1972 წლის დამდეგს გამოაცხადა, რომ საბრძოლო თვითმფრინავების ახალ პარტიას მიაწვდის ისრაელს.

უსასყიდლოდ

ᲓᲔᲚᲘ. 15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ინდოეთი დათანხმდა უსასყიდლოდ მისცეს ბანგლა დეშის მთავრობას დამატებით 185 მილიონი რუპია ლტოლვილთათვის დახმარების გასაწევად.

გარდა ამისა, როგორც გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ იუწყება, ლტოლვილებს მიეცემათ ორი კვირის საჭმელ-სასმელი და გარკვეული თანხა ხამობლოში დაბრუნების ხარჯების ასანაზღაურებლად.

ა. დევისის დასაცავად

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გუს ჰოლმა, რომელიც სან-ფრანცისკოში იმყოფება, გუშინ საპატიმროში ინახულა ამერიკელი კომუნისტი ანჯელა დევისი. გუს ჰოლმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტია კიდევ უფრო გააძლიერებს კამპანიას ანჯელა დევისის დასაცავად.

ᲐᲚᲝᲥᲕᲘᲝ ᲓᲦᲔᲗᲘ

ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲛᲘ

ᲓᲐᲚᲔᲡᲢᲜᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲑᲨᲘ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜᲘᲡ რაიონულ ცენტრში ვურკარახში უცნაური სანახაობის მოწმენი გავხდით. აულის გადმა უბნიდან მიკოტის კივილის მსგავსი ხმა მოისმოდა.

— რა არის ეს? ვინ მღერის, ვინ ლაღადებს?

— ლეკური სოფელი რო იყოს, აგიხსნიდით რაშია საქმე... — მხრებს იჩჩავს ჩვენი შოფერი, — მაგათი ენისა ინჩი-ბინჩი არ გამეგება!

მანქანის ირგვლივ თავმოყრილმა ბავშვებმა კი სხაპასხუპით აგვიხსნეს — აი იქ, სასლის სახურავზე, მუეძინს ხო ხედავთ, ლოცვას ადგენენ ალაპთანო...

მზისაგან თვალი მოვიჩრდილეთ და ფერდობზე შეფენილი აულის დათვალიერებას შევუდექით. უცნაური ხმაც სწორედ იმ მხრიდან მოდიოდა. ერთსართულიანი თიხის ქოხმახების წყება ფერდობს კიბეებად აუყვებოდა. ფუტკრის სკებივით მოჩანდნენ ისინი. ერთ მოლიანობად შეკრული უსაცოცხლო, უფერული ბინების რიგს გორისთავიდან ძველისძველი ციხე-სიმაგრე გადმოჰყურებდა, შამილის უკიდურესი ბასტიონი აღმოსავლეთით კავკასიონის ჩრდილო კალთებზე.

ᲰᲝ, ეს მუეძინია. მოლათა უკანასკნელი მოჰიკანი გადმომდგარიყო ერთ-ერთი სახლის ბანზე. თიხის საკეკლე გორგალზე შემდგარი, ყვინჩილასავით ცისკენ ციხურწყვარძელებული, წოწოლა კრაველისფაფუსიანი მოხუცი ცასა და ქვეყანას შესთხოვდა, თავის სალოცავ ალაჰს არაბულ ენაზე ემუდარებოდა, ქვეყნიერებისათვის მშვიდობა და სიკეთე მოეგზავნინებინა.

— ამ არემარეში მხოლოდ ჩვენს აულშია მუეძინი, — სიამაყის გრძნობით გვეუბნება მზეს გარუჯული შავტუსა ბიჭი. ხოლო ხელჩანთიანი გოგონები, ალბათ სკოლიდან შინისაკენ მომავალნი, თავის კანტურით ადასტურებენ შავტუსას ნათქვამს.

შორს, წარმოუდგენლად შორს გაასმის მეეძინის ლოცვა-ვედრება. სოფლის თავზე გადმომდგარ შამილის ბებერ ციხესაც ესმის არაბული ლოცვა, ესმის და ახსენდება ძველი დროება, როცა მის კედლებში ძალგულოვანი მეომრების ჩქამი, იმათი თოფიარაღის ჩხარენი იდგა.

ხალიფები და იმამები მეზობელ აულებზე თავდასხმის მზაკვრულ გეგმებს ადგენდნენ. ცხრის ფარების დასატაცებლად ემზადებოდნენ... მომზდურთა დასახვედრად ემზადებოდნენ... ციხეს ახსენდება ის ძველი დროება და იცინებს. მწარედ იცინებს. ამ მუეძინივით მაშინაც ყოველ დილაუთენია, შუადღისითა და საღამოჟამს მრავლად აღავლენდნენ ალაპის საუფლოში არაბულ ლოცვებს. რათა ყოველისშემძლისა და ყოველისმომჭედველ მშვიდობა და სიწყნარე მოეკლინებინა ღარიბ-ღატაკი აულებისათვის, მწყემსების, მომთაბარეების, ოქრომჭედლთა, მეფუნჯეთა, მეჭოთნეთა სოფლებისათვის. ხოლო ცრუმორწმუნე მთიელები მთელი გულმოდგინებით მართავდნენ ნამაზებს. მათს სასოებით მორთხმულ მუხლქვეშ არა ერთი და ორი საღოცავი ნოხი გაცვეთილა, მაგრამ ამაო იყო ყოველივე. მშვიდობის ნაცვლად ირგვლივ ომის გრიალი იდგა. თოფების ბათქი ზარავდა გარემოს. იყო განუკითხავი სისხლისღვრა, ისმოდა ღილეგებში დამწყვდეულთა კვნესა.

და ეცინებოდა გურკარახის მრავლისმომსწრე ციხეს ამ კრაველის ფაფასიანი, ჯიუტი პოპლიკას ლაღადისზე... „ამაოა ყოველივე ცად აღვლენილი. ამაო და უსარგებლო, თორემ მაშინ ამდენი ვედრება-ლოცვით სამოთხეც კი უნდა დამკვიდრებულიყო ამ ცოდვილ დედამიწაზე — ეს ხალხში უნდა დათესო სიკეთის თესლი, მხოლოდ ხალხში, თუ კი მართლაც გწადია ადამიანდეს იგი...“.

ეცინებოდა ციხეს, ძველის თავმოყვარეობით, სიამაყით აღვსილ ბებრუხანას და ბეჭობზე „გადმომდგარი — გამოცდილი სარქაოვით ყარაულობდა თავის სამწყსოს — ფერდობზე შეფენილ თიხის სახლების წყებას.

მერე ისევ გზა... ᲧᲣᲑᲐᲩᲘᲡᲐᲙᲘᲗ

მუეძინის ღაღადისი უკან მოვიტოვეთ. ბებერი შამილის ციხე მთათა თხემებზე, მორიალე ფთილა ღრუბლებში განქარდა. ამ წუთიდან ვურკარახის რაიონში მეგზურობასა და მასპინძლობას კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ირაკიმ ამბედნაროვი-ᲬᲘᲠᲘᲜᲘᲗ გვიწევს, რომელიც თავისი სურვილით მოგვყვება ᲧᲣᲑᲐᲩᲘᲗ.

— კი, მაგრამ თქვენ გისმით ᲧᲣᲑᲐᲩᲔᲑᲘᲡᲐ? თქვენ ხომ ლეზგი ხარო და ლეზგურად ლაპარაკობთ? — შეგვიკითხეთ ᲘᲠᲐᲙᲘᲗᲘᲗ.

— არა, იმათ ესმით ჩვენი, ყველა ᲧᲣᲑᲐᲩᲔᲑᲘᲡᲐ ლეზგური იცის, ხოლო არცერთმა ლეზგმა ᲧᲣᲑᲐᲩᲘᲡᲐ არ იცის...

— ქალები? აქაური ქალები რიო არიან დასაქმებულნი? — შევკითხეთ კომკავშირის რაიკომის პირველ მდივანს. — აი, თუნდაც გოგონები, სად არიან ისინი?

— ძირითადად ფერმებში, — ეღიმება რატომღაც ჩვენს მასპინძელს,— თავთავიანთი კომკავშირული ქორწილების მოლოდინში მუშაობენ, ოცნებობენ...

— კომკავშირული ქორწილების მოლოდინში?

— სწორედ კომკავშირული! ჩვენთან ასეთი ქორწილები ტრადიციად იქცა... მაგრამ ეს არც ისე უბრალოდ და ერთბაშად მომხდარა, და არც ისე ერთი წელს მოსმთელ... მამამიწიური საქორწილო ურთიერთობიდან თანამედროვე ურთიერთობაზე გადასვლას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია... მოგეხსენებათ ჩვენი რჯულის სიმტკიცე, მისი ხელშეუვალობის ამბავი.

ყველაფერი ეს კი ბიკა ბახმუდოყათი დიწყო. იგი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩვენთან მუზობდა — კომკავშირის კომიტეტში. როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე, ბიკასაც ჰყავდა თავისი სწორფერი. ახალგაზრდა წყვილს უყვარდათ ერთმანეთი. მაგრამ ამას ვეღარ ამეტანებდნენ. საქმეს ისიც ანძელებდა, რომ ისინი სხვადასხვა აულებიდან იყვნენ, არსებული კანონით მათი ცოლ-ქმრობა ყოვლად დაუშვებლად ითვლებოდა. ორივენი განიცდიდნენ ამ ამბავს. და მათს დღეში ხომ ასობით ახალგაზრდა იყო. და როცა ერთ დღეს ამ საკითხზე ჩამოვარდა კომიტეტში საუბარი, ყველა ჩაგვიფიქრა ამ ამბავზე. დროს ყველგან თან მიჰქონდა ის ძველი. ურთიერთობა-წყაჩვენულებანი, მხოლოდ ჩვენთან თითქოს გაყინულიყო ეამთა სრბოლა. აფიგერი ჩვენთვის არ იცვლებოდა. უფროსთა, იმამთა თუ მოლათა, ცრუმორწმუნეთა გავლენა ბატონობდა ყოველივეზე. ამას განიცდიდა და გრძნობდა თვითეული ჩვენგანი, ქვეშეცნეულად ეწინააღმდეგებოდა კიდეც მოვლენათა ასეთნაირად განვითარებას, მაგრამ საქმეს არაფერი შეეცვალა. „მაინც რანაირად აღვდგომოდით წინ დრომოჭმულ ჩვეულებებს? რანაირად გვებრძოლა ხალხში გამეფებულ რწმენებასთან?“ — ამ ფიქრებით დავიშალენით სახლებში. მეორე დღეს კი ბიკა თავისი გულისსწორით მოვიდა სამსახურში. ორივენი ალეწილნი რომ იყვნენ, ეს თვალში გვეცა ყველას, მაგრამ მაინც ვერაფერს მიგუხვდიან. ისევ ბიკამ ამოიღო ხმა.

— ჩვენ გადავწყვიტეთ ოჯახის შექმნა. გვინდა ჩვეულებრივი ქორწილი გადავიხადოთ, კომკავშირული ქორწილი...

იქნებ თქვენთვის ასეთი განცხადება არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ჩვენზე კოგოს ნათქვამმა ძალიან იმოქმედა. ასეთი რამ მანამდე არც მოგვსვლოდა თავში — კომკავშირული ქორწილი! ეს ხომ მართლაც იშვიათი რამ იყო. სიხარულისა და მოწონებისაგან ვიდე თქვენს დაწესებულებაში, და არც სხვა დროს შემიწუხებიხართ რამეზე და, თუ ღმერთი გწყალეთ, უარს ნუ მიტყვეთო, — მოგვმართა მოხუცმა. „მაინც რა სათხოვარი გაქვთ ასეთი დაბუა გამზა?“ — შეეცქეროდით ყველანი თვალებში, და ვერაფერი გაგებეთ.

— ჩემი უფროსი შვილიმშვილი მეთუ კლასს ამთავრებს. საცოლე ᲧᲐᲕᲐ... ᲰᲝ და მინდა კომკავშირული ქორწილი გაუმართოთ. აი ბიკას რო მოუწყეთ, ისეთი, თვითონ ი მუხლშავაც თანახმაა, მეც ასე მსურს...

მოხუცის ნათქვამი ყველას გვეხიამოვნა. ატყდა ისეთი ერთი ფუსფუსი და ალიაქოთი... მას მერე კი „ალიენტები“ მოგვიმრავლდნენ. ის კი არა, ყველას „კომკავშირული ქორწილი“ აკერია პირზე, — ეცინება ამმედსანოვიჩს, — ᲰᲝᲓ იმაზე გითხარით, მიგვითითა თავმჯდომარემ. ᲧᲣᲑᲐᲩᲘᲡᲐ წინდები თუ გაგიგონიათ, ესენი ერიან მისი შემოქმედნი... დანარჩენები კი სამხატვრო კომბინატში საქმიანობენ. ოქრო-ვერცხლის სამკაულებს, სხვადასხვა ნივთებს ამზადებენ. ერთი სტაკვით, ჩვენმა ქალებმა ძირითადად ორი საქმე იციან, — ეს არის ოქრომჭედლობა და ქსოვა. და კიდევ ოჯახის მოვლა-პატრონობა — დედობა. თუ ამ სამი საქმიდან სამიგი ზედმიწევნით ეხერხება ქალს, მაშინ მას არავითარი უმაღლესები არ სჭირდება.

— ეს თითრი თავშლები ყველას ასურავთ? ან საიდან მოაქვთ ისინი? — ფაბრიკები მსგავს ნაწარმს არ უშვებენ, ყოველ შემთხვევაში მაღაზიებში არსად შეგხვედრივართ.

— თავშლებად მხოლოდ მარკიზეტი იხმარება. ნაჭერს ქალაქად �oგონებმა თავი ჩაღუნეს და მეტად არც გასწორებულან წელში. ამით თითქოს გვაგრძნობინეს, ხელს ნუღარ გვიმლიათო. მართალი იყვნენ ისინი — ვერცხლის ლითონზე მუშაობა სიფაქიზესა და სიზუსტეს მოითხოვდა. არც ერთი ზედმეტი ვრცი ძვირფასეკ ლითონი არ უნდა დაკარგულიყო...

— ამ კომბინატში სულ ხუთასი კაცი მუშაობს. აქედან სამასი ქალია. შეიძლება მას ქალების კომბინატი ვუწოდოთ. ქალები, ეს თავშლიანი ქალები! თითქოს მატრიარქატიაო ᲧᲣᲑᲐᲩᲘᲗ. მთავარ ძალას აულში ქალები წარმოადგენენ. ძველადაც ასე იყო, მამაკაცებს არც ერთ საქმეში არ ჩამორჩებოდნენ ისინი. ერთხელაც ეს აული ქალებმა იხსნეს მტრისაგან.

ᲰᲝ, ეს საინტერესო ამბავია. მტერი, აიმ ქედ ხომ ხედავთ, იქ იდგა. ჩვენებური მამაკაცები მათთან ბრძოლაში გაწყდნენ. სოფელში ქალები და რამდენიმე მოხუცი და ხეიბარიღა დარჩა. მტერმა იცოდა. ეს ამბავი და გამარჯვებული მოიჩქაროდა აულისაკენ. სწორედ ქალებმა გამოიჩინეს ამ დროს კეთილგონიერება და სიმამაცე. სპილენძის თუნგულები დენთით გატენეს, სახურავზე აიტანეს და მორიგეობით დაიკუნეს. თუნგები დაიფლითა და ჩიტი რა არის, ჩიტიც კი არ უმსხვრევია მათ. მაგრამ მომხდურები კი დაფიქრა, დაფიქრა და დაამინა კიდეც. სოფელში ზარბაზნები ჰქონიათ და ჩვენ მათთან რაღა გაგხდებითო — თქვეს მტერს და თავისი გზით გაბრუნებულა.

ასეა — ამიტომაც ჩვენს ქალებს უნდა ეხეროთ თეთრი თავშლები, მარკიზეტის თავშლები. რაც არ უნდა ძვირი ჯდებოდეს ნაჭერი მაინც უნდა ეხეროთ. ახ, ეს ქალები, რა უცნაური არიან ისინი. კაცებს კი არა ჰგვანან, აკი თქვენაც იმიტომ დაინტერესებდით. თუმცა ვის არ აინტერესებს ისინი...

ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც. ჩვენი გაბრუნების ჟამმა დარეკა. მალე გამოვემშვიდობეთ ჩვენს ᲧᲣᲑᲐᲩᲔᲚ გულღია მასპინძელს, სოფლის საბჭოს ᲐᲛᲘᲡᲙᲝᲛᲘᲡ თავმჯდომარეს და ᲧᲣᲑᲐᲩᲘᲡ მსგავსად ღამის ᲧᲕᲐᲓᲘᲗ გენეკრიდით. კასპიის შორეული დრტვინვა-ღიღინი მოგვახსმოდა, დერბენტისა და მახაჩყალის ლამპიონები გვიპატუნებდნენ ათასი მთის მიღმიდან ბდღვრიალა თვალებს...

ᲛᲘᲠᲝᲜ ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ.

ᲧᲣᲑᲐᲩᲘ-ᲛᲐᲮᲐᲩᲧᲐᲚᲐ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

• • •



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ახალგაზრდა მჭსოველი ქულთუმ იბრაჰიმოვი (მარცხნივ); 100 წლის გამზა იმმაეევი (ზემოთ).

ფოტო Გ. ᲩᲘᲣᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲔᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ტიპიურია დღევანდელი ოლსტერისათვის. „ტეროორისტებისაგან“ ჩრდილოეთ ირლანდიის მცხოვრებთა დაცვის სახალხო „უშიშროების ძალები“ და ინგლისელი ჯარისკაცები მასობრივ ჩხრეკა-დაპატიმრებას აწარმოებენ „საგანგებო რწმუნებულებათა“ კანონის საფუძველზე. გამვლელებს ჩხრეკენ მაღაზიებში შესვლისას და პირდაპირ ქუჩებში, მგზავრებს ჩხრეკენ საქალაქო ავტობუსებში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ᲛᲐᲚᲢᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

**15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲒᲐᲜᲒᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲚᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲐᲚᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲞᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲠᲝᲓᲝᲡ ᲖᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲨᲐᲑᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲐᲦᲓᲒᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ნაწყვეტი რომანიდან „ლილის ეზო“

გამოჯვება

არჩილ ჩაჩიბაია

ქარხნის ტექნიკური საბჭოს სხდომა გვიან დამთავრდა.

მალე ლუკა და მასთან მისული პირები წავიდნენ. დარჩნენ ვივიანა და თამაზი.

არც ერთი მათგანი არაფერს ამბობდა, მაგრამ ორივეს ეჭყობოდა მოუსვენრობა, სიახლოვის გრძნობით გამოწვეული ჯერ გაუმსელელი ღელვაც.

ვივიანას სახე თანდათან ალანძა, თავაუღებლად მუშაობდა. ტექნიკური საბჭოს ახალი წევრების სიის გადათვლერბას მორჩა და მთაზე ცნობების პირად საქმეში ჩაკერება დაიწყო. სინათლე ლილელივით ეფინებოდა საწერ მაგიდას. თვალი აუჭრელდა. მაგიდაზე დადგმული ყვითლად მოციმციმე სანათი ჩაჰარო.

გარეთ, დერეფანში ნაბიჯების მნელდა. ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა.

ახლა კი მარტო ისე იყვნენ დარჩენილნი, რომ მათი საუბრის მომსმენი არავინ იყო.

ვივიანა თამაზისადმი მღელვარე და იდუმალი გატაცების გრძნობას სწორედ ახლა რაღაც ხაოცრად გაეკუეჩინა, მაშინ როცა გული თითქოს პირიქით მეტ სითამამისაკენ, გულადღილი საუბრისაკენ უხმობდა.

თამაზიც განგებ ხმას არ იღებდა, მხოლოდ კმაყოფილებით შესცქეროდა ვივიანას სახეს, რომელიც ნელი სიწითლითი ღვივდებოდა. შესცქეროდა გატაცებით და მზად იყო მოაფერებოდა, შესაყვარულებოდა, მაგრამ იმასაც ფიქრობდა. ისეთი რამ არ გამოსცოდა, ვივიანას ჩვეულებრივი თამამი შეხუმრებით არ გაეკარებულიყო, სასაციოლოდ ან სახუმროდ არ აეღო.

ვივიანაც თავის მხრივ მოელოდა, თამაზი რას იტყოდა, მაგრამ მასაც გადაწყვეტილი ჰქონდა, ისეთი არაფერი წამოსცდენოდა, თამაზს რომ წყენოდა.

ამ განწყობილებამ შექმნა ეს ფრთხილი სიჩუმე.

ასეთ მდგომარეობაში განვლო წუთებმა, მაგრამ ეს წუთები ერთსაც და მეორესაც საათებად ეჩვენებოდა, და რაც დრო გადიოდა, მით უფრო აუტანელი ხდებოდა ეს სიფრთხილე.

— ბადრიმ მითხრა, თქვენ მეტად დიდმნიშვნელოვანი საამქრო აგიგიაო? — დაარღვია სიჩუმე ვივიანამ, ისე რომ თამაზისათვის არც კი შეუხედავს.

— არ გინახავთ?

— არა!

— გინდათ ნახოთ?

— ძალიან!

— ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა!

— მაინც რატომ?

— მაინტერესებს ჩემს ნამშრომს როგორ შეაფასებდით?

— მე ხომ კიბერნეტიკის არაფერი გამეგება?!

— აგიხსნით!

— ჩემთვის ის მხოლოდ სანახაობა იქნება!

— თუნდაც ასე იყოს.

— მერე თქვენ რა?

— თქვენი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება სიამოვნებას მომანიჭებს!

— ოჰო, ეს კი ნამდვილად წარმავალი განწყობილებაა!

— რატომ გგონია?

— ეს ქალისათვის ჩვეულებრივად ნათქვამი და გაცვეთილი სიტყვებია!

— ყოველ შემთხვევაში, ჩემგან ასე არ არის ნათქვამი.

— რაღაც დაუჯერებელია!

— ამაში დარწმუნდებით!

— მხოლოდ ერთად ყოფნით, არა?

— ვივიანამ წაიკიკინა.

— სხვაგვარად არც მინდა წარმოვიდგინო! — დაუდასტურა თამაზმა.

ვივიანას შეთამამება კვლავ კისკისმა შთანთქა...

თამაზი ცდილობდა ვივიანას თავისუფალ და თამამ ხასიათს შეეყობოდა.

— მე გითხარი, რაც ამჟამად მსურდა!

— თქვენ რა, უფრო მნიშვნელოვანზე ხომ არ ფიქრობდით?

— დიახ!

— მაინც?

— აი ისეთზე, რომელიც ჩემს თავს ყოველთვის გაგახსენებდათ.

— ოჰო, ასლა თქვენ გრძნობებზე იწყებთ ლაპარაკს? ოქ, ღმერთო ჩემო! გრძნობები, გრძნობები და კიდევ გრძნობები! მერე და, ასე უცვე? ასეთ გრძნობას უწინ მოქყვებოდა თავის ტკივილები, გულის აჩუყება ჯაჭის ღვინოში ჩაკვლა და ასე, ამგვარად...

— უცნაურად მსჯელობთ!

— ნუთუ?

— ასე ჩანს თქვენი სიტყვებიდან!

ვივიანა ასლა სასიამოვნოდ იღიმებოდა და ჩანდა ძლიერ სურდა თამაზის თავმოყვარეობაზე ემოქმედა.

— იქნებ ასლა მარადიულ გრძნობებზედაც ისე გინდათ მითხრათ, როგორც ზოგიერთნი ფიქრობენ.

— მაინც როგორ?

— ზოგიერთნი იმიზეზებენ, რომ ეპოქამ ბევრი რამ შეცვალა... ასლა კიბერნეტიკის ეპოქაში სიყვარულის გაგებაც სხვაგვარიაო...

— მე მგონია სიყვარული კიბერნეტიკის ეპოქაშიც ადამიანისათვის ისევ საბეიროა, როგორც სიცოცხლე!

— სიცოცხლეს სიყვარული ალამაზებს და სიყვარულს კი სიცოცხლე.

— სიყვარულს მხოლოდ გამაჯვებული სიცოცხლე ალამაზებს.

— ეს მართლაც რომ ასეა!

— თუ ხვალინდელმა დღემ ჩემს სიცოცხლეს ჯამარჯვება მოუტანა, მაშინ რას იტყვი?

— იმას, რასაც დიდი აღტაცება მათქმევინებს!

თამაზს სახეზე კმაყოფილება ალებეჭდა.

მეორე დღეს ვივიანა განსაკუთრებული მნიშვნელობის საამქროში მოვიდა.

თამაზი მას დილიდანვე ელოდა, რომ საამქრო დაეთვალიერებინა.

ვივიანამ გადაიკისკისა.

— მე კი მგონია, სადაც მარადიული სიყვარულია, სილამაზეც მხოლოდ იქ არის!

— სადაც სილამაზე არ არის, არც სიყვარულია, — გაუმეორა თამაზმა. — ეს მე პირადი მაგალითით შეიძლება დაგიდასტუროთ!

— მაინც ეს ვის მიმართ შეიძლება თქვათ?

— თქვენს მიმართ, ვივი, ნამდვილად!

ვივიანამ ასლაც ხმამაღლა გადაიკისკისა.

— თამაზ, ასლა ასეთი სიტყვებით გინდა სადარდეელი გამიჩინო?

— დარდს ისეთ სიყვარული გაფანტავს!

— თამაზ, გენაცვალე, მეტად სერიოზულ ლაპარაკს იწყებთ, ისე ჩანს!

— თუ ასე იგრძენით, ნამდვილად გამეხარდება!

— რატომ?

— სიყვარული ჯერ უნდა იგრძნო და მერე განიცადო!

— ოჰო, ეს რაღაც ფილოსოფიის მაგვარია და მე ვიტყოდი, არაფერი ისე ზედმეტი არ არის სიყვარულისათვის, როგორც ფილოსოფიური მსჯელობა!

თამაზმა ჩაიცინა.

— მე მინდა იგრძნოთ ის, რასაც თქვენთან ყოფნით განვიცდი.

— რომ იცოდეთ, რა აჩქარებაა!

— აჩქარება მოუთმენლობის შედეგია!

ვივიანამ ასლა თავი ისე დაიჭირა, თითქოს არც კი ესმოდა ვადაკუოლ ნათქვამი სიტყვები მაგრამ თამაზი არც ისე გულუბრყვილო იყო, ეს არ ეგრძნო.

აგრეგატებისაკენ წავიდნენ.

ვივიანა გაფაციცებით შესცქეროდა ყოველივეს და უკვირდა, ასეთი უზარმაზარი საამქრო აგრომატურად რა ძალას უნდა ემუშაგებინა.

— ასლა კი მჯერა, რომ ინეინერები განსაკუთრებული ნიჭის ადამიანები არიან. ზღაპრული, ზღაპრული!

ვივიანას თავი ისე ეჭირა, თითქოს მხოლოდ ასალი საამქროს საოცრებთა იყო დაინტერესებული, მაგრამ სადღაც შიგნით, გულის სიღრმეში ნელნელა ღვივდებოდა რაღაც მეტად სასიამოვნო გრძნობა, თუმცა ჯერჯერობით მაინც ცდილობდა ეს არ გამოეჩენინებინა.

— თამაზ! — მოულოდნელად შეეკითხა ვივიანა. — აი, ინეინერს ხომ მთელი დღე ასეთ მანქანებთან, ასეთ ცივ ლითონებთან უხდება ყოფნა, ნუთუ ეს მასზე გავლენას არ ახდენს?

— გაუგებარი შეკითხვაა!

— ასე მგონია, ამდენი ცივი ლითონი ინეინერს გულსაც გაუცივებს თუმცა თქვენ ასეთი რამ ჯერჯერობით არ გეტყობათ!

თამაზი ჯერ სახტად დარჩა, არ იცოდა, რა ეპასუხნა, მაგრამ ვივიანას მხიარულ სახეს რომ შეხედა, თვითონაც ხმამაღლა გაიცინა. შეხუმრებით ასლოს მიიზიდა, ტუჩები ყურთან ასლოს, სულ ასლოს მიუტანა და ჩასჩურჩულა:

— ვივიკო! ინეინრის ცხოვრება ენ-როლი, ჩარლსტონი, ტვისტი და ბუგი-ბუგი გიტაცებთ, არა?

ვივიანამ უღიმოდ შეხედა თამაზს და ისეთი კილოთი გასცა პასუხი, რომ იგრძნობოდა, ნაწყენიც კი იყო.

— ძალიანაც ცდებით, თამაზ, ძალიან! სამწუხაროდ ვერ გიცვნიერართ! მე სულაც არ ვეკუთვნი ასეთებს მონატრულ სულელ და ქარაფშუტა ქალიშვილებს!

— ამაში ვივიანას მე დავემოწმები! — დაუდასტურა ბადრიმ.

— აი სწორედ ასეთი ქალიშვილები მომწონს! — ხმამაღლა თქვა თამაზმა.

— ჰო!? რა ბედნიერებაა! ერთი ამას უყურეთ, თურმე მოსწონს! — რაღაც საოცრად ხმაშეკვლილი და თითქოს გაკვირვებითაც კი თქვა ვივიანამ.

— იქნებ ვივიანა მართლაც მოგწონს, ა? — შეაწყვეტინა ბადრიმ.

— რატომაც არა! — მიუგო თამაზმა. — ვივიანა ნამდვილად მოსაწონია და მომწონს კიდეკიც!

— ჰო, ჰო, ჰო, — გადაიკისკისა ვივიანამ! — ძლიეს არ გაიღეთ მოწყალება?! არა, ბატონო, არა! ასეც რომ არ იყოს, ასლა, შენ ამისათვის აბა, სად გეცალია? შენ ხომ შენი ფიქრითა და გრძნობით დიდი გამოცდის წინ დგახარ!

— სიყვარული დიადი საქმისადმი მხოლოდ ტრფიალის ცეცხლს აღვიძებს!

— ლამაზად ამბობთ, ღმერთმანი, ლამაზად!

ბადრი ასლოს მიუჯდა ვივიანას და ჰკითხა:

— კი მაგრამ შეყვარებულმა რომ გკითხოს, რას ეპირები?

— შეყვარებულმა კი არა, თვით სიყვარულმა უნდა ჰკითხოს ჩემს გულს, თუ რას ვაპირებ და პასუხს მაშინ მას გავცემ.

დადგა ნანატრი საათი.

ასალი საამქრო მწყობრში დგებოდა.

თოვდა წვრილად.

ტაბინი სიცივე ფანჯრებთან, საამქროს ნახევრადღია კართან სისინებდა, მაგრამ სტუდენტები მაინც ასალი საამქროს წინ, ეზოში იყრიდნენ თავს, სადაც დიდი ფოტოსტენდი იყო დადგმული.

ფოტოსტენდზე ვივიანას მიერ გადაღებული ასალი საამქროს სურათები გამოეფინათ. იქვე ქარხნის ინეინერი ადამიანების პორტრეტები საპატიო დაფის შემცვლელად გაკეთებულ და წითლად შეღებილ ტრიბუნის წინაეიდეზე სამ რიგად ჩაემწკრივებინათ.

სტუდენტი-პრაქტიკანტები ჯგუფ-ჯგუფად ცნობისმოყვარეობით შემოხვეოდნენ ტრიბუნას. თამაზს წარმატებას წინასწარ უსოცავდნენ. თამაზი ღიმილით უპასუხებდა მათ, მაგრამ გონებას არ შორდებოდა სიხარულის შემბოჭავი აზრიც — აგრეგატში რაიმე უწესივრობამ თავი რომ იჩინოს, მაშინ რაღა ქენო.

აი ასლა, თამაზი სხვებთან ერთად ლუკა ცაბაძის კაბინეტში იყო. აქ იყვნენ მოსული მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მთავარი ინეინერი ილია რომახინი, მოსკოვის ქარხანა „კალიბრის“ ინეინერი ოური პეტროვი და გომელის დაზგათმშენებლობის ქარხნის მთავარი ინეინერი ნიკოლოს დემენტიევი. აქვე იყვნენ მურმან ტატიშვილი, გოგი თუშიშვილი და თამაზისათვის უცნობი ზოგიერთი პირიც, რომელიც მეგობრულ საუბარში იცინენ ჩამმულნი.

თამაზი ხშირად, ძლიერ ხშირად გონებით მათ საუბარს გამოეთიშვოდა, იმათ სიტყვებს აღარ უსმენდა. ისინი კი საქმიანი ინტერესით საუბრობდნენ ასლო აგრეგატებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე, ყველა ცდილობდა თავისი აზრი გამოეთქვა...

რაც უფრო ასლოვდებოდა საამქროს ამუშავებისა და საკვესლოტაციოდ გადაცემისათვის დანიშნული დრო, ვივიანაც მით უფრო ღელავდა, თუმცა თვითონაც უკვირდა, რატომ განიცდიდა ყოველივე ამას ასე მტკივნეულად.

— ასე ხდება, როცა ადამიანი გიყვარს! — თითქოს ბაგრიმ ჩასჩურჩულა კიდევაც; მაგრამ ვივიანა მაინც ფარულ ღელვას ისე შეეპყრო, რომ ეს ამკარად იგრძნობდა.

სურდა თამაზთან ასლოს დამდგარიყო, მისი სიტყვა მოესმინა, მისი განცდებს თანამონაწილე გამხდარიყო.

ჯერ არ ყოფილა შემთხვევა — ვივიანას ვინმესთან ასე მოსწყურებოდა ასლოს ყოფნა, საუბარი, როგორც ეს თამაზთან; ჯერ არავისბედით ისე არ დაინტერესებულა და არავის შესახებ იმდენი არ უფიქრია, რამდენსაც ასლა თამაზისათვის ფიქრობდა.

აი თამაზი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გვერდით დგას და რაღაცას გატაცებით უყვება. იქვე იყვნენ ვივიანასათვის სრულიად უცნობი პირები, რომელთა მოღიმარი სახეები იმაში არწმუნებდა, რომ თამაზის ნაამბობით ისინი კმაყოფილ უნდა ყოფილიყვნენ.

ცა ისევ თოვლის ფანტელებად ეფინებოდა დედამიწას.

თოვდა წვრილად, ქარნაბერად.

ნესტიანი სიცივე კვლავ სისინით მართვის პულტზე ისევ წვრილად ბრწყინავდნენ ფერად-ფერადი ელნათურები.

იდუმალი, უხილავი ძალა აგუგუნებდა და ამრიალებდა საამქროს სიღრმეში ჩამუხტულ აგრეგატებს, რომლებიც ზუზუნებდნენ, თუხთუხებდნენ და ცივად ზანზარებდნენ.

ასლა უკლებლივ ყველანი დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს გამომთვლელი მანქანების ზუსტ მუშაობას და მოწონების მხურვალე გრძნობა მათ ჯერ განუცდელ სიხარულსა თუ აღტაცებას განაცდევინებდა.

თამაზს მშვიდი სახე გაბადროდა. გამარჯვების რწმენა სულს უკაკუნებდა.

ავტომატური საამქრო რიტმული ხმით თუხთუხებდა, ზიზინებდა, თითქოს უჩინარი ძალის კარნახსა და ნებას დამორჩილებოდა.

აი მილის ნამზადი ნაჭრები ბუნკერებში იყრება, აქედან ავტომატურად გადადის ბავი ზლვის ლურჯი ზვირთებით, მამულზე ფიქრი შემოესოს, ამოალაგოს შემდეგ რითმებად.

თვალებში ენთოს ენგურის ხომლი, დიდ სინათლისკენ ჩვენ მარად ვილტვით, შენი პაერით სუნთქავდეს მხოლოდ, შენი რუსთავის ვეება ფილტვით.

მერე რა ვქნა, რომ არ მომეფეროს, არ ვითხოვ მისგან ალერსს და ამბორს, თუ დაიკუნტლებს, — როგორც შეპყრობს: შენს მამადავითს, დიდგორს და სამგორს.

ომმა გვასწავლა

ვერ წამოსცდება იმ დღეზე ვერვის
სიტყვა მადლობის,
სიტყვა საქებო.
სოფელში მოსულ სამკუთხა წერილს.
კუთხეზე ანდა სისხლის ლაქები.
ომი, —
გმირებს და ობლებს რომ ბადებს,
ავი მგზავრივით შემომხვდა გზადა.
ის უთეთრებდა თმებს ახალგაზრდებს
და ოთარ ტანსაცმელს შავად ღებავდა.
ახლა რომ გული ასე ხმიანებს,
ჩვენ მაშინ უხმოდ ვიტანდით შიმშილს.
ომმა გვასწავლა ადამიანებს,
ადამიანის დაკარგვის შიში.
მეც ვიშუშებდი თითქოს ნატყვიარს
დღეებს ვლილი გზისკენ გზისკენ ყურებით,
ზოგს მხოლოდ ახსოვს,
ზოგს კი ატყვია
სახეზე ომის ნაფეხურები.
იმედის ნერგი შრიალებს სულში,
რომლის გათელვა ქარსაც ეძნელა.
მას რა დააზრობს,
ზრდას რა დაუშლის,
შეხეთ, —
თოვლქვეშაც ბყვავის ენძელა.

ჩემი ჭაერით და ჩემი ფილტვით

არ მინდა, ლექსი რომ მომეფეროს,
მე არ მოვითხოვ ლექსისგან ამბორს.
ხმლადაც ეხმლოს და ეფაროს ფარად, —
შენს მამადავითს. დიდგორს და სამგორს.

მსურს სიყვარული შოდეს შენი,
სხვა ვერცვინ კლავდეს მასში ამ შიმშილს
და ზღაპრებივით გიმრავლოს ძენი,
ამირანის და არსენას ჯიშის.

შენს სასოუმალთან ღამე ათენოს,
დაგეირდეს, მასაც თოფზე ეძინოს
და ისიც,
როგორც ერთი ქართველი,
შენ შეგემატოს, შენ შეგეძინოს.

სამგორს ესტუმროს ვით დილის სიო,
დატკბეს შავი ზღვის ლურჯი ზვირთებით,
მამულზე ფიქრი შემოესოს,
ამოალაგოს შემდეგ რითმებად.

თვალებში ენთოს ენგურის ხომლი,
დიდ სინათლისკენ ჩვენ მარად ვილტვით,
შენი პაერით სუნთქავდეს მხოლოდ,
შენი რუსთავის ვეება ფილტვით.

მერე რა ვქნა, რომ არ მომეფეროს,
არ ვითხოვ მისგან ალერსს და ამბორს,
თუ დაიკუნტლებს, —
როგორც შეპყრობს:
შენს მამადავითს, დიდგორს და სამგორს.

ომმა გვასწავლა

ვერ წამოსცდება იმ დღეზე ვერვის
სიტყვა მადლობის,
სიტყვა საქებო.
სოფელში მოსულ სამკუთხა წერილს.
კუთხეზე ანდა სისხლის ლაქები.
ომი, —
გმირებს და ობლებს რომ ბადებს,
ავი მგზავრივით შემომხვდა გზადა.
ის უთეთრებდა თმებს ახალგაზრდებს
და ოთარ ტანსაცმელს შავად ღებავდა.
ახლა რომ გული ასე ხმიანებს,
ჩვენ მაშინ უხმოდ ვიტანდით შიმშილს.
ომმა გვასწავლა ადამიანებს,
ადამიანის დაკარგვის შიში.
მეც ვიშუშებდი თითქოს ნატყვიარს
დღეებს ვლილი გზისკენ გზისკენ ყურებით,
ზოგს მხოლოდ ახსოვს,
ზოგს კი ატყვია
სახეზე ომის ნაფეხურები.
იმედის ნერგი შრიალებს სულში,
რომლის გათელვა ქარსაც ეძნელა.
მას რა დააზრობს,
ზრდას რა დაუშლის,
შეხეთ, —
თოვლქვეშაც ბყვავის ენძელა.

რანაირად, როგორად?!

ეს რა ლულუნა ამიტანა,
დილის სიო მეერდს მეხვევა.
ალვატანა, ტანლატანა
ჩემს წინ ლაღად მიირხევა.
ჩამოშლია დალალები,
ღამისფერი დალალები,
მისი გრძელი დალალები,
ნეტამც მკლავზე დამახვია.
მიირწევა ჩემს წინ ბონდი
ტანწერწეტაც მიირწევა.
გული ამბობს:
— აბა, მოდი,
ვიჩქარით და დავეწიოთ!
აცხადებულ სიზმარს მოგაგვს
გოგნი-გოგნი — გოგონაო.
მეერდში გული ამიბორგა,
რანაირად, როგორაო?!
— სავსე ვოვარის ხარ ადარი,
გოგო, ჩემო ხაბედოო.
— მელოდება ხახლში ქმარი,
არაფერი გაბედოო.
გადამასხა ცივი წყალი
და წინ აღარ მივიჩქარი.
მისი თმების შრიალს ვისმენ,
დალალების მაქცევს ქარი.
ნაკვერცხლების თვალები აქვს,
დაგწვავს, —
არკი გაგიკარებს:
— რაკი მთვარე გუვარებია,
უფურეო ნამდვილ მთვარეს.
ქმრიანი და თავის ნება,
მიდის გოგნი-გოგონაო.
თვალი მაინც მისკენ მრჩება
რანაირად, როგორაო?!

ჰა, მომატყუე!

მომატყუე, რომ გიყვარვარ ისევ,
ჩვენს წინ ვრცელი და დიდი გზებია,
რომ ტრფობის ალით ენთები მყისვე,
ის ცეცხლი ჯერ არ გაგნელებია.
მომატყუე, რომ სიცელქის უამი
შემოგვრჩა მარად, როგორც თვისება
და სიყვარულს შარბათით ჯამი
ისევ ივსება, ვსვამთ და ივსება.
მომატყუე და მარწმუნე თანაც,
მათრთოლე თრთოლვით გასაოცარით,
თქვი: — სიყვარულის ჩაქრობის ხანა
ჩვენგან შორს არი, ძლიერ შორს არი!
ისე მითხარი — სავსებით გენდო,
გულში ნასახიც არ ჩამრჩეს იქვის.
თუმცა, ტკეული არ გითქვამს დღემდე,
ტკეული გქენჯნის,
ტკეული გიქირს...
მაგრამ მაინც თქვი, დროს ნუდარ კარგავ,
ღაწვები წითლად რამ შეგიფერა!
ჰა, მომატყუე,
რა უშავს, კარგო
და დამაჯერე, რაც თვით არ გჯერა!
გადამატარე ოცნების მინდორს,
ამიყვავილე ფიქრნი იებად
და ამგვარ ტყუილს ყველა შეგინდობს,
შეგინდობენ და გეპატიება.

„კომუნისტის“ კალენდარი

ჩვენი ნინო

ნინო ნაკაშიძის დაბადების 100 წლისთავისათვის

ნინო ნაკაშიძის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ორი დიდი პოლიტიკური ფორმაციის მიჯნაზე გაიშალა. მძიმე და ინელი იყო ახალგაზრდა მწერალი ქალისათვის პირველი ლიტერატურული ნაბიჯები ძველი რეჟიმის, ცარიზმის სულშეხუთავ პირობებში, როცა საქართველოში ყოველგვარ სახალხო საქმეს დევნიდნენ და ავიწროვებდნენ. მაგრამ სულ სხვა იყო მწერალი ქალის შემოქმედებითი ცხოვრება გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, როცა საუკეთესო პირობები შეიქმნა ყოველგვარი კულტურული საქმიანობისათვის.

ბუნებრივია, რომ დიდჯაფაგადატანილი, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი მწერალი ახალი ცხოვრების მომლერალი გახდა. ჩვენ გვახსოვს მისი დაუშრეტელი ენერგია, ენთუზიაზმი, გვახსოვს ხალისიანი და დაუღალავი ნინო, რომელიც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დიდ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა.

დიდი ვაჟკაცობა და გამბედაობა იყო ნ. ნაკაშიძის მხრივ რეაქციის მძვინვარე პერიოდში სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. და აი ნ. ნაკაშიძე 1902 წელს გაბედულად ბეჭდავს თავის პირველ ლექსს „იმედს“ და მომავლის ღრმა რწმენით აღანთებს მშრომელ ხალხს. 1908 წელს იგი აქვეყნებს თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობას „ძიძას“. ნ. ნაკაშიძე ასლო იდგა ეკ. ნინოშვილის შემოქმედებასთან. მის მსგავსად ვიხატავდა ძალმომრეობასთან ბრძოლით ჩაბმული დაჩაგრული გლეხაცობის ცოცხალ სახეებს — ქრისტინეს, მზეხას, კოწიას და სხვ. რეალისტი მწერალი გაუმაორახებლად არ ტოვებს გადაგვარების გზაზე დამდგარი არისტოკრატიის წარმომადგენლებს და მათ შესანიშნავად უპირისპირებს კეთილშობილ პატრიოტ ადამიანებს.

ნინო ნაკაშიძე ამხილებდა და აკრიტიკებდა ძველი ცხოვრების მახინჯ მხარეებს, უარყოფდა კერძო საკუთრების პრინციპს, არწმუნებდა მკითხველს, რომ საკუთრების სიყვარული ძველი ცხოვრების გადმონაშთია, რომ საჭიროა მასთან ბრძოლა.

ამ ზნეობრივ სიმაღლეს ქადაგებდა ნ. ნაკაშიძე თავის ღრმად სოციალურ დრამატულ ნაშრომში „ვინ არის დამნაშავე“. აქ მწერალმა გამოავლინა თავისი ჭეშმარიტი ბელეტრისტული ნიჭი, მხატვრული თვალი და, რაც მთავარია, ცხოვრების ღრმა ცოდნაც.

ვინ არის დამნაშავე ადამიანობის მოუწყობელ, აფორიაქებულ ცხოვრებაში? კითხულობს მწერალი. ამ ნაწარმოებში ნ. ნაკაშიძე შრომის ანოლოგიტად გვევლინება, თავისუფლება და ბედნიერება არის არა ნივთიერ კეთილდღეობაში, არამედ ადამიანის მიერ ადამიანის სიყვარულში.

ნინო ნაკაშიძეს ყოველთვის აინტერესებდა ქართველი ქალის მომავალი. ამიტომ მუდამ გატაცებით ხატავდა მტკიცე ნებისყოფის ფხიერ და გონებაგახსნილ ქართველ ქალთა სახეებს, რომლებიც ქართველ ვაჟკაცებთან ერთად მზად იყვნენ სიცოცხლე გაეწირათ საყვარელი სამშობლოსათვის.

როცა მწერლის შემოქმედებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი გმირების ოპტიმისტური ხასიათი, რაც თვითონ მწერლის ბუნებიდან გამომდინარეობდა. ნ. ნაკაშიძე ჯანსაღი ოპტიმისტი იყო პირად ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც.

ცოცხალი და სხარტი ნ. ნაკაშიძის მოთხრობების ენა, მას ეხერხება სიუჟეტის საინტერესოდ გაშლა.

სამშობლოს დიდი სიყვარული უკარნახებდა ნინოს უმწიკლოდ და უანგაროდ ეკეთებინა საქეეყნო საქმე. მარტო ეურნალ „ნაკადულთან“ დაკავშირებული სახელი საკმარისია ნ. ნაკაშიძის უკვდავსაყოფად.

თბილისში ნ. ნაკაშიძის მხურვალე მონაწილეობით გაიხსნა პირველი ქართული საბავშვო ბაღი. 1914 წელს იგი თავმჯდომარეობდა კავკასიელ ქალთა საზოგადოებას. მისი თაოსნობით მოეწყო უპატრონო ბავშვთა სახლი.

დაუვიწყარია ნინო ნაკაშიძის მუშობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

ბედნიერი იყო ნინო ნაკაშიძე, ამ ცხოვრების გრძელ და მძიმე გზაზე თავისი აზრების ისეთი მოზიარე რომ ჰყავდა, როგორიც იყო ნიჭიერი პუბლიცისტი ილია ნაკაშიძე, სამოციან წლების ვამოჩენილი მოღვაწის პეტრე ნაკაშიძის შვილი. ალბათ ეს მათი სულიერი ნათესაობა და შეკავშირება მოსწონდა რუსეთის გამოჩენილ მწერალს ლევ ტოლსტოის, როცა ასე დაიახლოვა საზოგადო მოღვაწე ცოლ-ქმარი და ისინი თავის ოჯახის მეგობრებად აღიარა.

ნინო ნაკაშიძე ექეს ათეულ წელიწადს ედგა მხარში ქართულ საბავშვო მწერლობას. ეს არ იყო ილია საქმე. მისი გულწრფელი სიყვარულით დაწერილი საბავშვო მოთხრობები ჩვენს ახალგაზრდობაში ნერგავდა პატრიოტიზმის კეთილშობილურ გრძნობებს. მისი „ბავშვი და ბეღურა“, „მატინგი“ და სხვ. ბავშვებს ძალმომრეობისადმი სიძულვილს უღვიძებდა.

ნორჩი თაობის სიყვარულმა შეაძლებინა ნინო ნაკაშიძეს ქართულ ენაზეც ეთარგმნა ანდერსენის ზღაპრები, ჩარლზ დიკენსის, რაბინდრანატ თაგორის, ლევ ტოლსტოის და სხვათა ნაწარმოებები. ამ თარგმანებით მწერალი ქალი ახალგაზრდობაში აღვიძებდა უცხო ლიტერატურისადმი სიყვარულს.

ჭეშმარიტად ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან ჩვენი საყვარელი თანადათოვლილი ნინო ნაკაშიძე, შესანიშნავი მწერალი, ნორჩი თაობის დიდი მზრუნველი და მეგობარი.

ნინო ჩიხლაძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მრავალფეროვანი პროგრამით

კოკულარული საოპერო მომღერლის, ზ. ფალიაშვილის სახელობის რესპუბლიკური პრემიის, საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების ლაურეატის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის **მედეა ამირანაშვილის** შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკონცერტო მოღვაწეობას.

და აი ამ დღეებში, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ვამართული სოლო კონცერტით მ. ამირანაშვილმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, თუ რამდენად სერიოზულად იკიდებს იგი კამერულ რეპერტუარს და რამდენად დიდია მისი შემოქმედებითი დიაპაზონი.

პირველივე ნომერი (ნინას რომანსი გლაზუნოვის მუსიკიდან ლერმონტოვის დრამისათვის „მასკარადი“) მომღერალმა დიდი ლირიზმითა და კეთილშობილური თავდაჭერილობით შეასრულა. სულ სხვადასხვა განწყობილება გვიჩენენ ჩაიკოვსკის ორ რომანსი: „ვარსკვლავები დაგვნათოდენ“ და „რომ მიყვარხარ“. თუ პირველი აღსავსე იყო ელეგიური სევდით, მეორეში ემოციური მელოდიებით ხაზგასმული იყო ნაწარმოების დრამატული ბუნება. სამხრეთული ეშხი და მანერის სინატიფე იგრძნობოდა მეტნერის „ესპანურ რომანსში“, ხოლო მისივე ურთულესი **რომანსი** „ყვავილი“ ფაქიზი და მომხიბლავი იყო მ. ამირანაშვილის შესრულებით.

კონცერტზე ფილიგრანული გამომსახველობით გამოირჩეოდა გრეჩანინოვის „ვარდისფერი დაილი“, ხოლო რახმანინოვის რომანსში — „აქ ალგია“ — მომღერალმა ხმის ფლირების, პოეტური პიანოს ფლობის მაღალი ოსტატობა გვიჩვენა, მისივე „გაზაფხულის ნაკადებში“ გაღვიძებული ბუნების აფეთქება ვიგრძენით. ვლასოვის „ბაღჩისარაის სასახლის შადრევანს“, რომელშიც პუშკინისეული ლირიკა ბედნიერად არის შერწყმული კომპოზიტორის მუსიკალურ ფაქტურასთან, მომღერალი ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი წკრიალი ტემბრით ასრულებს.

მეორე განყოფილებაში ჩიმაკაძის „შენი დალალნი“ და მაჭავარიანის „მზეთა მზის სახეო“ მ. ამირანაშვილის შესრულებით განცდათა გულწრფელობით და სიფაქიზით ხასიათდებოდა. კარგი იყო ო. თაქთაქიშვილის „წყარო“.

სპენდიაროვის „ღამე“ მომღერალმა ოთხიოლის და ვიოლინოს აკომპანემენტით შეასრულა (ვიოლინოს პარტიას ასრულებდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ცხომელიძე). კარგი შთაბეჭდილება დატოვა რ. შტრაუსის რომანსებმა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რაველის პიესა ხაბანერას ფორმით და ეკერლენის სერენადა (ეს უკანასკნელი ფრანგულ ენაზე შესრულდა), დიდი ესთეტიკური სიამოვნება მოგვგვარა მსმენელს გრიგორ რომანსებმა „გედმა“ და „სიზმარმა“.

კიდევ რამდენიმე რომანსი და არია შეასრულა მომღერალმა ბისზე. მთელი კონცერტი მთლიანობით, სტილისტური ერთიანობით ხასიათდებოდა.

მომღერლისა და კონცერტმეისტრის შემოქმედებითი ურთიერთობის აშვიათი ნიმუში იყო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის **ვაჟა ჩაჩავას** აკომპანემენტი. შესრულების ღრმა ინდივიდუალური მანერა, დახვეწილი, ფაქიზი მუსიკალური ფრაზირება, იგრძნობოდა ამ შესანიშნავი კონცერტმეისტრის აკომპანემენტში.

მაყურებელმა მხურვალედ მიიღო მ. ამირანაშვილის სოლო კონცერტი.

ნათელა სვანიშვილი.

...რაც კი ოდესმე მომისმენია

1962 წელს, ზუსტად 48 წლის განშორების შემდეგ იგორ სტრავინსკი—მეოცე საუკუნის გენიალური კომპოზიტორი სამშობლოში დაბრუნდა კონცერტების ჩასატარებლად. და განა მარტო კონცერტების ჩასატარებლად? გზაში ზედმეტად ღელავდა, მაგრამ როგორც კი დადგა ფეხი რუსეთის მიწაზე, საოცარი სიწყნარე და სიმშვიდე იგრძნო, თითქოს უკვალოდ გაქრა ის უფსკრული, რომელიც სამშობლოს ამორებდა ათეული წლების განმავლობაში...

საღამოს ჩაიკოვსკის დარბაზში შეკრებილი ზღვა ხალხი ფეხზე დგებოდა და ოვაციით მიესალმა კომპოზიტორს. აღელვებულმა სტრავინსკიმ ასე მიმართა შეკრებილთ:

„ოქვენს წინაშე მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი კაცი დგას, იცოდეთ, რომ რუსული მიწის სურნელი განუმეორებელია, იცოდეთ, რომ ადამიანს მხოლოდ ერთი სამშობლო აქვს“...

და ბუნებით უაღრესად თავდაჭერილი სტრავინსკი აქ კი ვეღარ მოერია მოზღვავებულ გრძნობებს (შეიძლება არც კი უნდოდა მორეოდა მათ) და თვალებზე ცრემლები მოადგა...

იგორ სტრავინსკი დაიბადა 1882 წელს ფინეთის ყურესთან მდებარე პატარა საკერავკა სოფელში, სადაც მამამისს — პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის მომღერალს სახლი ჰქონდა. კომპოზიციამ სტრავინსკი შედარებით გვიან გაიტაცა. 21 წლისა იყო, როცა რიმსკი-კორსაკოვის მოწაფე გახდა. მალე მას სერგეი დიაგილევმა მიაქცია ყურადღება და დაუკვეთა პარტიტურა, რომელსაც საფუძველად ცნობილი რუსული ზღაპარი „ფასკუნჯი“ დაედო. ამ ბალეტის დადგმა პარიზში მყოფ დიაგილევის რუსულ სბალეტრ დასს უნდა განეხორციელებინა. როცა სტრავინსკი პირველად მივიდა რეპეტიციაზე, დიაგილევი მიუბრუნდა დიდ რუს მოცეკვავეებს ანა პავლოვას და ნიკინსკის და უთხრა: შეხედეთ. ეს ახალგაზრდა კაცი დიდების ზღურბლზე დგას...

და სტრავინსკიმ ძალიან ჩქარა გადააბიჯა ამ ზღურბლს...

მან თითქოს ერთი აფეთქებით შექმნა თავისი უკვდავი ქმნილებები „ფასკუნჯი“, „პეტრუშკა“ და „წმიდა გაზაფხული“. ამ ნაწარმოებებმა მთელი მსოფლიო მოიარა და მუსიკის მოყვარულთ დიდებული ახალი რუსული სტრავინსკისეული სამყარო გააცნო. ამის გარდა მან უმდიდრესი მუსიკალურ მემკვიდრეობა დატოვა. სტრავინსკის მუსიკამ გავლენა მოახდინა მთელ მეოცე საუკუნის მუსიკაზე ამერიკაში თუ ევროპაში, აზიაში თუ მის სამშობლოში.

სტრავინსკის შემოქმედებითი ნატურის ყველაზე უფრო დიდი ღიონისება არის დაუსრულებელი ძიების და მარად ახლისკენ სწრაფვის დაუოკებელი ენერგია და სურვილი. სტრავინსკი ნთელი მაგალითია იმ შემოქმედისა, რომელსაც ძალუძს ყოველთვის გაიკვლიოს ახალი ბილიკები და აღარ იაროს უკვე თელილი და დატკეპნილი გზით...

სტრავინსკის უახლოესი მეგობარი იყო დრო, რომლის მაჯისცემას და სუნთქვას ის მხატვრის საოცარი ინტუიციის კულტურით გრძნობდა.

ამ რამდენიმე წლის წინათ ცნობილი ამერიკელი მუსიკოსი ნოი გრინბერგი საგანგებოდ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში თავისი კამერული ანსამბლით. იგი თბილისსაც ეწვია, კომპოზიტორთა კავშირში გრინბერგს მოისმენინეს ქართული ხალხური მუსიკა, როგორც სიმღერები, ისე საგალობლები. გრინბერგი აღფრთოვანა ამ სიმღერის მრავალხმიანობამ, თავისებურებამ და სალამაზემ. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ იგი სტრავინსკის უხიარებს თავის შთაბეჭდილებებს.

სტრავინსკიმ მსოფლიოს მუსიკალური კულტურის გასაგონად აღიარა ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერა — საგალობლების დიდი ღირსება, ქედი მოიხარა ქართული პოლიფონიური მუსიკის ლაზათის წინაშე.

მეტად საინტერესოა სტრავინსკის საუბრის ნაწყვეტი ამერიკის ჟურნალ „ნიუიორკ რევიუ ოფ ბუკს“ — მუსიკალურ რედაქტორთან. მის შეკითხვაზე თუ რა ახალი მუსიკა მოისმინა ბოლო წლებში, აი როგორ უპასუხა სტრავინსკიმ:

„ერთ, ამ ბოლოდროინდელ ორ (მეორე იყო „იაკობის კიბე“) ყველაზე ნათელ მუსიკალურ შთაბეჭდილებათაგანს მე ვუმადლი თბილისს მახლობლად მთიან სოფლებში აღნუსხულ პოლიფონიურ ვოკალურ ჩანაწერებს. X საუკუნის კონდუქტუსისა და ორგანუმისგან მომდინარე ცოცხალი საშემსრულებლო ტრადიციების აღმოჩენა, ჩემი აზრით, უფრო ძვირფას შენაძენს წარმოადგენს, ვიდრე ახალი მუსიკის უბრალო პოვნა. ეს იოდლი, რომელსაც საქართველოში „კრიმანჭული“ ეწოდება და უკვე მეთოთხმეტე საუკუნის მუსიკაშია ცნობილი, იყო საუკეთესო, რაც კი ოდესმე მომისმენია“.

სტრავინსკის მხარდაჭერით და გრინბერგის ინიციატივით საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა მიიღო ოფიციალური მოწვევა. ქართული ანსამბლი „გორდელა“ უნდა გამგზავრებულიყო ამერიკაში იქაურ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში კონცერტების გასამართავად. სამწუხაროდ, ნოი გრინბერგის უეცარმა გარდაცვალებამ ჩაშალა ამ გეგმის განხორციელება.

სიცოცხლის ბოლო წლებში სტრავინსკი ძალიან მტკივნეულად განიცდიდა სამშობლოდან დაშორებას. ის დაავადდა განუკურნებელი სენით — ნოსტალგიით, ლაპარაკობდა მხოლოდ რუსულად, იგონებდა მოსკოვში და ლენინგრადში 1962 წელს გამართულ კონცერტებს, სადაც საოცრად გულთბილი შეხვედრები ჰქონდა და იმდენად აღფრთოვანებდა ამერიკული ცხოვრების წესები, რომ მან უკვე ღრმად მოხუცებულმა დატოვა ამერიკა და კვლავ ევროპაში დაბრუნდა.

ივი გარდაიცვალა 88 წლის ასაკში 1971 წლის გაზაფხულზე. დასაფლავეს ვენეციაში სან-მიშელის სასაფლაოზე თავისი რუსი ძმის დიაგილევის გვერდით...

დ. მაჭავარიანი,
მოსკოვი.

ფოტოხელოვნების საერთაშორისო ფედერაციამ ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში მოაწყო მხატვრული ფოტოგრაფიის ტრადიციული საერთაშორისო გამოფენა, რომელზეც „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტ ს. კილაძის ნამუშევარს „მობრონბა“ (სურათზე) მიენიჭა ვერცხლის მედალი.

ჩვენი სტუმრები

თბილისში საგასტროლოდ იყო ჩეხოსლოვაკიის ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი „ბაკუნირი“. ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელია სოლისტი მ. ვეჩერჟა. სოლისტები ი. ვიატროვა და გ. სუმერა. ბევრი ნაწარმოები ანსამბლისათვის დაწერა კომპოზიტორმა ვ. კუჩაიმ.

* * *

სურათზე: მღერის ანსამბლის სოლისტი ი. ვიატროვა.
ფოტო ა. კავკასიძისა.

„ჩელა“ ბულგარეთსა და რუმინეთში

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლი „ჩელა“ (მხატვრული ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. კვაჭანტირაძე, ქორეოგრაფი საკავშირო ფესტივალის ლაურეატი რ. ბულია) მოწონებას იმსახურებს არა მარტო ქალაქ ზუგდიდსა და მის მეზობელ რაიონებში, ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც.

ახლახან ანსამბლის 146 მონაწილე ეწვია ბულგარეთსა და რუმინეთს. ბულგარეთში ხუთი დღის ყოფნისას ანსამბლის წევრებმა დაათვალიერეს საკურორტო ქალაქი ვარნა, შემდეგ უფასო კონცერტი გამართეს ვარნის მეზღვაურთა ინტერკლუბში. კონცერტს 14 სახელმწიფოს გემის ეკიპაჟი და საკურორტო ქალაქის მოსახლეობა დაესწრო. მაყურებელი მოხიბლა „ჩელას“ მიერ შესრულებულმა ქართულმა ხალხურმა ცეკვებმა და მელოდიებმა.

მეორე დღეს ანსამბლი მიიწვიეს ერთ-ერთ დიდ სასოფლო-სამეურნეო რაიონში — აქსაკოფოში. კონცერტი კულტურის სახლში გაიმართა.

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ანსამბლის წევრებმა დათვალიერეს საბრძოლო დიდების მუზეუმი, გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმი და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

ბულგარეთი დან რუმინეთისაკენ იქნა აღებული. მათ დათვალიერეს შავიზღვისპირა ციხე-სიმაგრე კონსტანცა, ნახეს ცნობილი „მამაის“ საკურორტო კომპლექსი, ეწვივნენ ბუქარესტს.

ბულგარეთსა და რუმინეთში მოგზაურობის შემდეგ, ოდესაში და იალტაში „ჩელამ“ მეზღვაურთა პატივსაცემად გამართა რამდენიმე კონცერტი. მეზღვაურებმა სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოეს ანსამბლის წევრები.

გ. ნოდია.

ბაკურიანის ექო

ბაკურიანი. 15 იანვარი. (ტელეფონით სპეც. კორ.). წინა დღით გადაუღებლივ თოვდა. სრბოლებისათვის გამიზნული ტრასები თოვლის ახალმა ფენამ დფარა. ხტომებისათვის ხელახლა გახდა მოსამზადებელი ტრამპლინები. ისეთ დიდ ასპარეზობას, როგორიც სსრ კავშირის თასის გათამაშება გახლავთ სათხილამურო სპორტში, ყოველთვის წინ უძღვის ალამის აღმართვა. ეს საზეიმო ცერემონიალი შედგა ერთი დღით ადრე — 14 იანვარს. კოხტაგორის ფერდობზე, სადაც ტრამპლინებია გამართული, თავი მოიყარეს შეჯიბრების მონაწილეებმა, რომელთა შორის ცოტა როდი იყვნენ ოლიმპიური კანდიდატები.

15 იანვარს ანიდან ნაწილობრივ გამოკეთდა, მაგრამ ტრასები მანქანებით ხელახლა გახდა დასატკეპნი. ტემპერატურა იყო მინუს 15-20 გრადუსი. ქალთათვის სრბოლის ეს ტრასა 10 კილომეტრს შეადგენდა, ვაჟთათვის — 15 კილომეტრს.

სათხილამურო რბოლის სტარტი პირველად ქალებმა აიღეს. მათი საერთო რიცხვი ორმოცდასამი იყო.

ნახევარი საათის შემდეგ მსაჯები უკვე მოელოდნენ პირველ მოთხილამურეებს. მოჰქროდნენ ფინიშისაკენ სპორტსმენები. უკეთესი დრო აღმოაჩინდა სპორტის დამსახურებულ ოსტატს ოქვესაკელ გალინა კულაკოვას — 34 წუთი და 5 წამი. გამარჯვებულს მხოლოდ 2 წამით ჩამორჩა კიროვსკელი ლიუბოვ მუხაჩოვა. მესამე ადგილზე გამოვიდა გორკის წარმომადგენელი ვალენტინა ოლიუნინა — 36 წუთი და 7 წამი.

როდესაც მოთხილამურეებს ფინიშამდე ჰქონდათ, პარალელურად მიმდინარეობდა ვაჟთა სტარტები. აქ მონაწილეთა მეტ რაოდენობასთან გვქონდა საქმე. შეჯიბრებაში 61 სპორტსმენი გამოვიდა. აქაც, როგორც ქალთა ასპარეზობაში, ინიციატივას ოლიმპიური გუნდები ფლობდნენ. როდესაც შეჯიბრების საბოლოო შედეგები შეჯამდა, ორ მოთხილამურეს — ნოვოსიბირსკელ ვლადიმერ დოლგანოვსა და კიროვსკელ იური სკოგოვს აღმოაჩნდათ თანაბარი დრო — 47 წუთი და 34 წამი. ვინაიდან სტარტი უფრო ადრე საერთაშორისო კლასის ოსტატს დოლგანოვს ჰქონდა აღებული, გამარჯვებაც მას მიეკუთვნა. მესამე ადგილზე გამოვიდა ფეოდორ ტიმშოვი (მოსკოვი) — 48 წუთი და 14 წამი.

როდესაც ამოიწურა სათხილამურო რბოლები, სპორტსმენები და მაყურებლები ტრამპლინებისაკენ გაეშურნენ. ამ შეჯიბრების მონაწილეებს ასპარეზობა ჰქონდათ მცირე ტრამპლინიდან ხტომებში, რომლებშიც მონაწილეობდნენ უძლიერესები, მათ შორის სპორტის დამსახურებული ოსტატი ჩვენი რესპუბლიკიდან ბაკურიანელი კობა წაქაძე. ჭერმხტომებს, ან როგორც მათ უწოდებენ, „მფრინავ“ მოთხილამურეებს, საცდელი ხტომები ჰქონდათ, შემდეგ კი ორ-ორი ჩასათვლელი ხტომა. ყველაზე დიდი ნახტომი — 83,5 მეტრი უჩვენა ს. ზონტოვმა (პერმი). მისი მეორე ნახტომი კი 77 მეტრი იყო და 228,2 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. კობა წაქაძის ნახტომი უფრო სტაბილური აღმოჩნდა — 80,5 და 79,5 მეტრი. 227,1 ქულით მან მეორე ადგილი დაიკავა, მესამე იყო პერმელი გ. პუხაჩოვი — 224,2 ქულა.

ვ. გაგელია.

ბანდიტები სტუმრის ნიღბით

იანვრის ერთ დღეს ახალი ათონის ვაგზლის ქუჩაზე მდებარე № 16 სახლს ორი ახალგაზრდა მიუახლოვდა. კარზე ფრთხილად დააკაკუნეს. მასპინძელმა ირინე დაშიანმა სტუმრები შინ შეიპატიჟა. ისინი მისი ქმრის — ნეშანის კარგი „ნაცნობები“ იყვნენ.

— ჩვენ თქვენი ქმრის დახმარება გვჭირდება, მაცივარი გვინდა ვიყიდოთ, თვითონ ხომ ავეჯის მაღაზიაში მუშაობს, ნაცნობები ჰყავს!

— კეთილი ბატონო, დაელოდეთ, — თქვა დიასახლისმა და სტუმრებს პურმარილიც კი გაუწყო.

უცებ მოხდა ის, რასაც არ ელოდა მასპინძელი...

— აბა, ფული, დაიღრიალეს „სტუმრებმა“, და ერთმა, უფრო ახალგაზრდა რომ ჩანდა, მოლტანიანი ნაჯახი იძრო, ხოლო მეორემ „ბრაუნინგი“ ზედ შუბლზე მიაბჯინა უმწეო ქალს.

მასპინძელს წაართვეს ფული, ოქროს საათი და ახალი ათონიდან სოხუმისაკენ მოუსვეს ტაქსით.

მერე სხვა ტაქსში გადასხდნენ. მძღოლს 150 მანეთს შეპირდნენ. ტაქსიმ კურსი თბილისისაკენ აიღო...

ახალ ათონში მომხდარი ამბავი მალე ცნობილი გახდა აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის. სოხუმიდან მორიგე ი. შაკიაიმ თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის ოპერატიული განყოფილების (უფროსის მოადგილე ო. ქებაძე) მორიგეებს — ლ. არაქელოვს და ა. პოსოხოვს შეატყობინა, რომ სოხუმიდან თბილისისაკენ გამოემართა სოხუმის ტაქსი, რომელშიც მძარცველები იმყოფებიანო.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის ოპერატიულ განყოფილებაში სწრაფი გადაწყვეტილება მიიღეს. შედგა სპეციალური ჯგუფები, დავალება მიიღეს მცხეთისა და ღუმეთის რაიმილიციის განყოფილებათა, საგანგებო ავტოინსპექციის ხაგზაო ოცეულს მუშაკებმა.

და, აი, ნატახტარის პოსტთან მილიციის მუშაკებმა დ. თოფჩიაშვილმა და ი. წიკლაურმა დააკავეს სოხუმიდან მომავალი ტაქსი, შეიპყრეს ერთი ბოროტმოქმედი, ხოლო მეორე გაიქცა, რომელმაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია მილიციის მუშაკებს.

ბანდიტმა მდინარე გაცურა და გზაზე გამოვიდა, მიმავალი ავტომანქანა გაიჩერა. ჯერ მძღოლსა და შიგ მსხდომ მგზავრებს თავი შეაცოდა. მერე იარაღის მუქარით მგზავრები მანქანიდან გადმოყარა, სიჩქეს თავად მიუჯდა და... კურსი საქართველოს სამხედრო გზისკენ აიღო.

შემთხვევის ადგილზე გაემგზავრა შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის ოპერატიული განყოფილების თანამშრომელი, მილიციის პოდპოლკოვნიკი მიხეილ ბაინდურავი. გამოცდილი ჩეკისტი გაქცეულ ბანდიტს კვალდაკვალ მიჰყვა. მასთან ერთად იყვნენ მცხეთის რაიმილიციის სისხლის სამართლის სამმეგრო განყოფილების მუშაკები კ. უნდილაშვილი, გ. მურჯიკნელი, საგზაო ინსპექტორი ყ. წიკლაური, ავტომანქანის მძღოლი ხ. ზარიძე და სხვ.

სოფელ მლეთს იქით 110 კილომეტრზე, საქართველოს სამხედრო გზაზე ბანდიტი იძულებული გახდა დანებებოდა ჩეკისტებს.

ვინ არიან ეს ბანდიტები? ნახაპეტ ლევანის-ძე ტომაიანი, სომხეთის სსრ სტეპანავანის რაიონის მცხოვრები, გაურკვეველი პროფესიისა, ნასამართლევი.

მეორე ბოროტმოქმედი — რაფიკ ოგანეზის-ძე ბარსეგიანი სრულიად ახალგაზრდაა. იგი მხოლოდ 17 წლისა თუ იქნება და, ჩანს, იოლად მოქცეულა გამოცდილი რეციდივისტის ნახაპეტ ტომაიანის „კლანჭებში“.

ასე დასრულეს „საგასტროლო გასეირნება“ სოხუმიდან თბილისამდე ბანდიტებმა.

გ. მეგრელიშვილი.

სპასკი, ფიშერი და «ახალი ტალღა»

საჭადრაკო მიმოხილვა

მოსკოვის „სპარტაკის“ კლუბში ამას წინათ წაკითხული ლექციის დროს ტიგრან პეტროსიანმა ჭადრაკის მოყვარულებს შესთავაზა შემოღონ მომავლისათვის სპეციალური „საფოსტო“ ყუთი, რომელშიც ჩაუშვებენ ბარათებს კითხვებით. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მზადყოფნა გამოოქვა პერიოდულად გამოვიდეს პასუხებით ამ კითხვებზე ფართო აუდიტორიის წინაშე. ეურნალისტს, რომელიც სახალხულო საჭადრაკო მიმოხილვას წერდა, აგრეთვე უნდოდა სცოდნოდა, ამჟამად რა საკითხები ადგა ფიშერის ოთმცადა, ეს ძნელი გამოსაცნობი როდია. გასული საჭადრაკო წელი აღინიშნა პრეტენდენტთა მატჩებით, სსრ კავშირის ჩემპიონატით, ა. აღიოხინის მემორიალით. თვითეული ეს მოვლენა ყურადღების ღირსია.

წასულებზე არაფერი უნდა ითქვას, ან მხოლოდ კარგი. მაგრამ 1971 წლის მიმართ მაინც ოდნავ უნდა გადავუხვიოთ ამ წესს. რამდენადაც ერთგვარ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს ის ფაქტი, რომ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა შეჯიბრებაში პირველად გაიმარჯვა არა ჩვენმა თანამემამულემ. რობერტ ფიშერის გახმაურებულმა გამარჯვებებმა იგი ფრიად პოპულარული ფიგურა გახადა, მისდამი მიძღვნილია მრავალი ურთიერთის საწინააღმდეგო მასალა უცხოეთის ისეთ გამოცემებშიც კი, სადაც ჭადრაკს მანამდე ადგილი არ ეთმობოდა. ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ჟურნალებმა „ლაიფმა“, „ტაიმმა“, „ნიუსუიკმა“ ფიშერის შესახებ დიდი სტატიები მოაბაჭეს. მას ეკინოსს უწოდებენ. თვითონ ფიშერი, კი მისი სეკუნდანტის გროსმაისტერ ლარი ევანსის დამოწმებით, მხოლოდ იღიმება: „რა სიტყვაა ეკინოსი? რას ნიშნავს იგი? თუ გამარჯვება მე დამრჩა — მართლაც ეკინოსი ვარ, თუ ვერ გავიმარჯვე, მაშინ არა“.

პროგნოზები, რომლებიც დღემდე ფრიად სასიკეთო იყო ფიშერისათვის, ახლა, მისი უკანასკნელი ორთაბრძოლის წინ ბორის სპასკისთან, სულაც არ უწინასწარმეტყველებენ მას აუცილებელ წარმატებას. მაგალითად, პეტროსიანი, რომლისთვისაც კარგად ცნობილია ამერიკელის ძალები და სისუსტენი, უპირატესობას მსოფლიოს ჩემპიონს აძლევს. მაგრამ ამასთან იგი ამბობს, რომ საჭიროა სპასკი თავის საუკეთესო სპორტულ ფორმაში შევიდეს და მატჩი ევროპაში ითამაშოს.

საინტერესოა აზრი გროსმაისტერ რობერტ ბირნისა, ფიშერის ერთ-ერთი მეგობრის და თანაშემწისა, რომელიც ალიოხინის ხსოვნის ტურნირზე გამოვიდა. მას თუმცა სჯერა თავისი თანამემამულის გამარჯვება, მაგრამ ამავე დროს აღიარებს, რომ სპასკი ბრწყინვალე ფსიქოლოგია და უნარი აქვს გასაღები შეურჩიოს მოწინააღმდეგის ზრახვებს. ამავე ნიშანს ხაზს უსვამს ვიქტორ კორჩნოიც, რომელიც აღნიშნავს, რომ ზუსტი ფსიქოლოგიური ნიუანსების გამოყენებაში სპასკის უეჭველია პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

ბირნისაგან, რომელიც მაინცდამაინც დიდი აზრისა არ არის ფიშერის ბევრ წმინდა ადამიანურ თვისებაზე, შეეფეტყვო ზოგიერთი სხვა მონაცემებიც ამერიკელი პრეტენდენტის შესახებ, 'რომლებიც წინათ არ ვიცოდით. „ეს სწორი არ არის, — ამბობს ბირნი, — რომ, გარდა საჭადრაკო წიგნებისა, მას წაკითხული აქვს მხოლოდ ოპუსი ტარზანის შესახებ. ჩემს ძმასთან, ჭადრაკის ოსტატსა და ლიტერატურის მასწავლებელთან, ფიშერს არაერთხელ ჰქონია გაუვებრობა იმის გამო, რომ ჩვენულება აქვს ფურცლები გადაკეცოს რომანებში, თუმცა ამის შესახებ ბევრი რამ ჭარბად გვსმენია.

ყოველივე ნათქვამი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ სპასკი-ფიშერის მომავალი მატჩი შესამჩნევი ნიშანსვეტი გახდება ჭადრაკის ისტორიაში. მაგრამ ეს ნიშანსვეტი დაიდგმება 1972 წელს, ჩვენ კი საჭიროა წარსულ წელს დავუბრუნდეთ.

სსრ კავშირის 39-ე ჩემპიონატში უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე გამარჯვება ოსტატმა მოიპოვა. ტურნირის დღეებში ვლადიმერ სავონს 31 ქულა შეუსრულდა. ეს ასაკი ახლანდელი საზომებით საკმაოდ მოწიფულია გროსმაისტერისათვის. სავონმა, რომელსაც წინათაც არაერთხელ მიუღწევია საუკეთესო შედეგებისათვის, ყველა გააოცა თავისი გამარჯვების მხოლოდ მტკიცე სტილით. მიხეილ ტალის თქმით, რომელმაც ვასილ სმისლოვთან მე-2-3 ადგილები გაიყო, სსრ კავშირის ახალი ჩემპიონი იბრძოდა როგორც მსოფლიოს ერთბაშად ორი ექს-ჩემპიონი (როგორც სმისლოვს — არ წაუგია არცერთი პარტია, როგორც ტალმა — ყველაზე მეტი გამარჯვება მოიპოვა). თავისი სპორტული მაჩვენებლების მუდმივ ზრდას მიგვაჩნია ანატოლი კარპოვმა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის პირველობაში მე-4 ადგილი დაიკავა. მაგრამ დღეს, ალიოხინის ხსოვნის ტურნირის შედეგების შეჯამების შემდეგ, კარპოვმა ყველაზე მეტად ბედნიერ ადამიანად ჩაითვალა. ეს ალბათ ბუნებრივია, ბოლო ადგილზე ყოფნა ადვილი ამოცანა ნამდვილად ვერ ეგულებოდ